გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N3 (9326) | 31 იანვარი. 2020 წელი | ფასი 50 თეთრი

"სამტრედიის მაცნე" ლიდერია!

23.01.2020

მეწარმეობა
საწარმოს ეკონომიკური რეიტინგის ცნობა

ბატონო შეყან!

ოფიციალურად გატყობინებთ საქართველოს საწარმოების საყოველთაო რეიტინგების შემუშავების დასრულების შესახებ.

სტატისტიკური რანჟირების შედეგების მიხედვით თქვენი საწარმო იმყოფება:

რეიტინგი ოქრო საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით "დაქირავებულთა რაოდენობა";

რეიტინგი ოქრო იმერეთის საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით "დაქირავებულთა რაოდენობა".

მოცემული მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა თქვენი საქმიანობის სფეროში და უნდა იქნას დადასტურებული შესაბამისი ღირსების ნიშნებით, რომლებსაც მიიღებთ დაჯილდოების ოფიციალურ პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში.

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ ეკონომიკის ლიდერთა დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიებზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მონაწილე ქვეყნების ყველაზე წარმატებული კომპანიები.

ეს ღონისძიებები გაძლევთ საშუალებას, პროფესიულ წრეში განაცხადოთ თქვენი წარმატების შესახებ, ასევე გააფართოვოთ და გაამყაროთ საქმიანი კონტაქტები.

მიმართეთ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საორგანიზაციო კომიტეტს საქართველოში და გაიარეთ რეგისტრაცია, რათა მიიღოთ მონაწილეობა საზეიმო ღონისძიებაში:

საქართველოს ტოპ-25 ლიდერი საწარმო

საქართველოს ლიდერი საწარმო სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი რანჟირების მიხედვით, კრიტერიუმის -**"დაქირავებულთა რაოდენობა"** - მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაცია **22.12.0** გაზეთების გამოცემა
კატეგორია: მცირე ბიზნესის

ს/კ	საწარმო	დაქ.რაოდ.
	რეიტინგის ოქრო	
226110749	შპს პრესა	1
404396676	შპს ვერსია პრინტი	2
238768455	**შპს სამტრედიის მაცნე**	**3**
202224609	შპს ყოველდღიური გაზეთი რეზონანსი	4
404378446	ვადიმ ვეეცაძის გამომცემლობა	5
202058735	შპს ახალი განათლება	6
225374387	შპს გაზეთი ბოლნისი	7
233646542	შპს პი და არა	8
233643457	შპს გაზეთი ლანჩხუთი Plus	9
404447595	შპს The Messenger	10

იმერეთის ტოპ-3 ლიდერი საწარმო

საქართველოს ლიდერი საწარმო სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი რანჟირების მიხედვით, კრიტერიუმის -**"დაქირავებულთა რაოდენობა"** - მიხედვით

ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაცია **22.12.0** გაზეთების გამოცემა
კატეგორია: მცირე ბიზნესის

ს/კ	საწარმო	დაქ.რაოდ.
	რეიტინგის ოქრო	
238768455	**შპს სამტრედიის მაცნე**	**1**
	რეიტინგის ვერცხლი	
412694286	შპს მედიაჰოლდინგი ქრონიკა +	2
	რეიტინგის ბრინჯაო	
212919797	შპს ახალი გაზეთი	3

ჯილდოს კომპანია **შპს სამტრედიის მაცნე**
შესულია რეიტინგებსა და კვლევებში გამარჯვებული კომპანიების ჩამონათვალში. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა დაჯილდოვდეთ შეფასების სერტიფიკატით Leader of the Year-ით. შეფასების სერტიფიკატი ასოციაციის დაკვეთით საქართველოს სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ჯგუფ G.P.G-ს მიერ ჩატარებული კვლევების გათვალისწინებით.

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ ცერემონიაზე, რომელიც გაიმართება **2020 წლის თბილისი, 27 თებერვალი "Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace."** **Leader of The Year 2019** წლის შემაჯამებელი დაჯილდოების ცერემონია, საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი, **30 უმსხვილესი კომპანია უკრაინიდან და ყაზახეთიდან.**

ჩვენი მედია მხარდამჭერია:

- იმედი
- საზოგადოებრივი მაუწყებელი
- მაესტრო
- TV 1

საქართველო _ ევროპა

როგორც ვიუწყებოდით, საქართველო ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა.

ამ დღეებში შევიტყვეთ, რომ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე ევროსაბჭოს ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტადაა არჩეული.

რას ნიშნავს ყოველი ეს საქართველოსათვის?

როგორც ბატონი კობახიძე აცხადებს, ეს საქართველოს სახელმწიფოს და შესაბამისად მას, საშუალებას მისცემს, ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გააცნოს ის ვითარება, რაც საქართველოში რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებშია და, რომელშიც ამ რეგიონებში მცხოვრებნი იმყოფებიან.

ვიმედოვნებთ, ქართველი პოლიტიკოსის არჩევა ესოდენ წარმომადგენლობით ორგანოს სპიკერატში ქვეყანას კიდევ ერთი ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს. ბატონი კობახიძე ამ თანამდებობას ერთი წლის მანძილზე შეინარჩუნებს.

ასამბლეაზე თითქმის ერთსაათიანი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი. ევროპარლამენტარებს საქართველოს დელეგაციის წევრებმაც მიმართეს. როგორც პრეზიდენტმა, ასევე ქართველმა პარლამენტარებმა იმ საკითხების ირგვლივ გაამახვილეს ყურადღება, მთელ ქართველ ერს, სრულიად საქართველოს რომ აწუხებს. საკითხი უპირველეს ყოვლისა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და იქ არსებულ ვითარებას შეეხებოდა.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ბატონი კობახიძის ასამბლეის ვიცე პრეზიდენტად არჩევა, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციისაკენ.

ლევან გაბეჩავა

ახალი სკვერი ქუთაისში პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის სიმტკიცის სიმბოლოა

სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში, ზვიად შალამბერიძემ, ქუთაისის მერ გიორგი ჭიღვარიასთან და კუიავსკო-პომორსკისა და ველიკოპოლსკოს სავოევოდოების ოფიციალურ დელეგაციებთან ერთად, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის, ვლადისლავ რაჩკევიჩის, სახელობის ქართულ-პოლონური მეგობრობის სკვერი გახსნა. ღონისძიებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი დაესწრო. გახსნის ცერემონიაზე შესრულდა საქართველოსა და პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნები. სტუმრებს სიტყვით მიმართა სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, რომელმაც პოლონურ მხარეს საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც მან აღნიშნა, ქართულ-პოლონური მეგობრობის სკვერში კუიავსკო-პომორსკის რეგიონის მარშლის პიოტრ ცოვბესკის ინიციატივით ვლადისლავ რაჩკევიჩის ბიუსტი დაიდგმება, რომელსაც პოლონელი მოქანდაკე გააკეთებს და 2 მაისს, ქუთაისქალაქობაზე საზეიმოდ გაიხსნება.

“დღეს ნამდვილად ისტორიული დღეა, სკვერი, რომელიც გავხსენით, ჩვენი მეგობრული ურთიერთობების სიმტკიცის სიმბოლოა. იგი კიდევ უფრო გამყარდება და საფუძვლიანად გაგრძელდება მომავალშიც. ჩვენ გვახსოვს, რომ პოლონეთი მუდამ იდგა და დგას საქართველოს გვერდით. ჩვენ ქვეყნებს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა სამაგალითოა ბევრი მიმართულებით და ეს ძმური დამოკიდებულება არასოდეს შეიცვლება.

დარწმუნებული ვარ, ამ სკვერს არაერთი პოლონელი ტურისტი ეწვევა”. _ განუცხადა ჟურნალისტებს სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ.

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიაში ვირუსული დაავადება და გრიპი არ გამოვლენილა

28 იანვრის მდგომარეობით “ჯეოჰოსპიტალს სამტრედიის ამბულატორიულ ცენტრში” ვირუსული დაავადებების მატებას ადგილი არ აქვს. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებას 620-მა პაციენტმა სხვადასხვა სახის ჩივილებით მიმართა. “აქედან მწვავე რესპირატორული დაავადების 26 შემთხვევა იყო მხოლოდ. ვირუსული დაავადება და გრიპი არ გამოვლენილა”. _ ეს ინფორმაცია მიაწოდა “სამტრედიის მაცნეს” “ჯეოჰოსპიტალს სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის” მენეჯერმა ლუარა კახიანმა.

ვირუსული დაავადების არსებობის და გავრცელების საშიშროებას ვერ ხედავს შპს “პედიატრის” მთავარი ექიმიც. ვახტანგ დუნდუას შეფასებით, ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებში ვირუსული დაავადებების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

ლუარა კახიანის თქმით, ვირუსული დაავადებების მატება, ზოგადად, ზამთრის ბოლო თვეშია მოსალოდნელი. თუმცა, ბოლო წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით, სამტრედიის ამბულატორიულ ცენტრს გართულებული სიტუაცია არც წინა წლების თებერვალში ჰქონია.

დროებითი ბინადრობის უფლებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჩინეთის რესპუბლიკის რამდენიმე ათეული მოქალაქე ცხოვრობს და სხვადასხვა სახის საქმიანობას ეწევა. თუმცა პოლიკლინიკას ამ წლების განმავლობაში, პროფილაქტიკური გასინჯვის მიზნით ერთეულმა მიმართა მხოლოდ. მათ ქვეყანაში გავრცელებული ვირუსული დაავადების გამო ჩინელებზე ვერც ეჭვის თვალით ყურებისა და ვერც კორონა ვირუსის გავრცელების საფუძველს სამტრედიაში “ჯეოჰოსპიტალსს სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის” ხელმძღვანელი, ლუარა კახიანი ხედავს.

ნინო ნანიტაშვილი

წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტმა შეღები დაწყებამდე გამოიტანა

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის, ზვიად შალამბერიძის, განცხადებით, წყალტუბოს მასშტაბური რეაბილიტაციის პროექტის დაანონსებამ ისეთი სერიოზული რეზონანსი გამოიწვია, რომ შედეგი უკვე არსებობს. ზვიად შალამბერიძის განცხადებით, წყალტუბოსთან დაკავშირებით ინტერესს უკვე არაერთი ინვესტორი გამოთქვამს. "ეს ის პროექტია, რომელსაც, შეიძლება ითქვას, შედეგი უკვე განხორციელებამდე აქვს. წყალტუბოსთან დაკავშირებით არაერთი ინვესტორი გვიკავშირდება და გამოთქვამს ინტერესს. ასევე გაიზარდა ინტერესი მთლიანად რეგიონის მიმართ. ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის დირექტორატის წევრები, რომლებმაც გვირჩიეს, რომ როდესაც მსგავსი ტიპის პროექტი ხორციელდება ერთ ქალაქში, ძალიან მნიშვნელოვანია, ირგვლივ მოეწყოს ისეთი ინფრასტრუქტურა, რომ იმ ტურისტებისთვის, რომლებიც ჩამოდიან ამ კონკრეტულ რაიონში, გარშემო ყველაფერი საინტერესო იყოს. შესაბამისად, ჩვენც ამ მიმართულებით გვინდა, რომ მოვაგვაროთ მთლიანად იმერეთი და ის მუნიციპალიტეტები, რომელებიც ესაზღვრება წყალტუბოს, ასევე არანაკლებ საინტერესო იყოს ტურისტებისთვის". _ განაცხადა შალამბერიძემ. მისივე თქმით, წყალტუბოს სანატორიუმებთან დაკავშირებით ინტერესს გამოთქვამენ მსხვილი ინვესტორები და ყველაფერი გაკეთდება ისე, რომ წყალტუბოში დასვენება და მკურნალობა ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, ქართველებისთვისაც და უცხოელებისთვისაც.

"ამ ეტაპზე მიმდინარეობს სივრცითი დაგეგმარება და ზოგადად, გენერალური გეგმის შემუშავება, რომელიც მოგვცემს იმის საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ, როგორ უნდა მოხდეს წყალტუბოს განაშენიანება. პირველი ეტაპია გენერალური გეგმის დასრულება, რომელიც განსაზღვრავს წყალტუბოს, როგორც კურორტის ფუნქციონირებას. პირველ და მეორე ზონაში მკაცრად იქნება გაკონტროლებული ის, რომ ის იერსახე, რაც აქვს წყალტუბოს, შენარჩუნდეს. მესამე ზონაში კი, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, იქ უკვე იქნება თავისუფალი და იქნება შესაძლებელია აშენდეს მრავალსართულიანი სახლები და ა. შ. ასევე, დაგეგმილი გვაქვს და პარალელურ რეჟიმში აშენდება პროფესიული კოლეჯი, რომელიც გადაამზადებს ყველას, ვისაც ადგილზე დასაქმების სურვილი და შესაძლებლობა ექნება. ეს შეიძლება იყოს, როგორც სანატორიუმებში, სასტუმროებში, ასევე რესტორნებში და სხვა. გარდა ამისა, წყალტუბოში გაკეთდება აკვაპარკი, კინოთეატრები და სხვა." _ განაცხადა შალამბერიძემ.

რაც შეეხება ადგილობრივების დასაქმებას, სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, ხელშეკრულებაშივე იქნება მითითებული, მინიმუმ რამდენი ადგილობრივი უნდა დასაქმდეს, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. "რაც შეეხება წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს, შენდება 8 კორპუსი, რომელიც უნდა დასრულდეს წლის ბოლოს და დაახლოებით 560 ოჯახი მიიღებს ბინას. გარდა ამისა, ქუთაისში მიმდინარეობს 6 კორპუსის მშენებლობა, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს და გვაქვს ადგილები შერჩეული, რომ ახალი მშენებლობები დაიწყოს, ასე რომ, დევნილები, რომლებიც ამ სანატორიუმებში ცხოვრობენ, დაკმაყოფილდებიან ბინებით აუცილებლად". _ განაცხადა შალამბერიძემ.

ქუთაისის ელექტრომობილების ქარხანა პირველ ელექტრომობილს მიმდინარე წლის აგვისტოში გამოუშვებს

"ქუთაისის ელექტრომობილების ქარხანა პირველ ელექტრომობილს მიმდინარე წლის აგვისტოში გამოუშვებს", _ ამის შესახებ დააანონსა სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში ზვიად შალამბერიძემ.

"ელექტრომობილები, რომელსაც ქუთაისის ქარხანა აწარმოებს, გავა ექსპორტზე, ასევე მოემსახურება ადგილობრივ ბაზარზე და დარწმუნებული ვარ, ძალიან პოპულარული იქნება. წარმოება იქნება ისეთი, რომ ქართული ბაზარი არ ეყოფა. პირველ ეტაპზე წარმოებული იქნება 5000 ელექტრომობილი, თუმცა შემდეგ ეტაპზე ეს რიცხვი უკვე 40 ათასამდე გაიზრდება. ჩვენ აქ მხოლოდ აწყობას არ ვგეგმავთ, ადგილზე უნდა მოხდეს სათადარიგო ნაწილების წარმოებაც. ეს არის ჩინური ბრენდი და გამოვუშვებთ იგივე მანქანებს იგივე სტანდარტებით ძალიან დიდი მოლოდინი გვაქვს, ამ ეტაპზე დასაქმებულია 300 ადამიანი, თუმცა ეს გაიზრდება 3000-მდე. ამ ქარხნის მშენებლობის დასრულებას რეგიონის მოსახლეობა ელოდება, რათა დასაქმდნენ. ვფიქრობთ, რომ პირველი ელექტრომობილი გამოვუშვათ აგვისტოში, გარდა ამისა, ცალკე იქნება აკუმულატორების ქარხანა, ცალკე იქნება ყველა ელექტრორობის წარმოების ხაზები, რომელიც მოგვცემს საშუალებას, მთლიანად ავაწყოთ ქუთაისში ელექტრომობილი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დიდ მოგებას მოუტანს არა მარტო ქუთაისს, არამედ მთელ საქართველოს და ყველაზე დიდი პლუსი არის ის, რომ ეკოლოგიურად იქნება ძალიან მომგებიანი". _ პირველი ელექტრომობილის პრეზენტაციამდე 7 თვით ადრე განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

ნინო ნანიტაშვილი

"სახლი თანადგომა" 3, ხოლო საბავშვო ბაგა-ბაღები 5 თებერვალს განაახლებენ მუშაობას

5 თებერვალს სააღმზრდელო პროცესი განახლდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში. 24-ვე სკოლამდელ დაწესებულებაში ყველა წინაპირობაა შექმნილი, სასწავლო პროცესი შეუფერხებლად დაიწყოს.

შეხვედრა, რომელიც 31 იანვარს მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას კაბინეტში შედგა, კვებაზე გამოცხადებულ ტენდერებს ეხებოდა და იმ მზაობას, რამდენად არიან მზადყოფნაში ააიპ-ები, კერძოდ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება და "სახლი თანადგომა", ახალი 2020 წლიდან ფუნქციონირება განაახლონ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის, ხათუნა გაგუას, ინფორმაციით ბაგა-ბაღებისთვის 6 ტენდერი შედგა, რაც შეეხება საქონლის ხორცის ტენდერს, სამჯერ ჩაიშალა. მორიგი, მეოთხე ტენდერი, 31 იანვარს ხელახლა გამოაცხადეს.

ბაგა-ბაღებს ფუნქციონირება რომ დაეწყო, სასწრაფო, გადაუდებელი დროებითი შესყიდვით იქნა ერთი თვის მარაგი შეძენილი ქათმის ფილეზე.

ხათუნა გაგუა სარგებლობს შემთხვევით და "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან მშობლებს თხოვნით მიმართავს: "საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 5 თებერვალს განახლდება. მშობლებს ვთხოვთ, ჯანმრთელი პატარები მოიყვანონ სკოლამდელ დაწესებულებებში".

"სახლი თანადგომას" დირექტორის, მზევინარ ბოხუას თქმით, უფასო სასადილო ფუნქციონირებას განაახლებს 3 თებერვალს, ორშაბათიდან. შარშან უფასო სასადილოში მუშაობა 23 ინვარს დაიწყო, წელს შეფერხება ხორცის პროდუქტებზე ტენდერების ჩაშლას მოჰყვა.

"სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, წინასწარ მიულოცა მუშაობის დაწყება საბავშვო ბაგა-ბაღებსა და უფასო სასადილოს, იქვე განმარტა მიზეზები, რამაც გამოიწვია მათი საქმიანობის დაგვიანებით დაწყება. ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, სამტრედიის მუნიციპალიტეტი მოხარულია, ბაგა-ბაღებმა და უფასო სასადილომ იმუშაოს, ოღონდ, კანონის დარღვევის გარეშე.

ნინო ნანიტაშვილი

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, პირველ მოადგილესთან, იოსებ ხახალეიშვილთან, ერთად ''საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ექსპერტებთან ერთად რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან სამომავლო ნაბიჯებზე იმსჯელეს, განიხილეს პროექტების ეფექტურად წარმართვისათვის, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პერსპექტივები, მიმოიხილეს ის პროექტები და ინიციატივები, რომლებიც ევროკავშირის მიერ არის მხარდაჭერილი, ასევე დაიგეგმა სამომავლო ნაბიჯები. საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის ივნისში დამტკიცდა ''საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა'' (რგპ), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მიდგომებს საქართველოს რეგიონულ პოლიტიკაში.

''საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა'' მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანობისა და კოჰეზიის ზრდას საქართველოს შემდეგ ოთხ საპილოტე რეგიონში: იმერეთში, კახეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. აღნიშნული პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ და საშუალებას მისცემს საქართველოს ხელისუფლებას, განახორციელოს რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად, რომლის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულები იქნებიან ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ჯგუფები.

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიელი ინტელექტუალის მორიგი წარმატება

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრის, მამუკა კიღურაძისა და ახალგაზრდა ინტელექტუალების _ ლევან თეთრაულის და ლუკა ლომსაძის გუნდმა "ოზიმანდიასი" საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში "წიგნების თარო" გაიმარჯვა. ნიჭიერი ახალგაზრდები კემბრიჯის ორკვირიანი საზაფხულო სკოლის საგზურით დაჯილდოვდნენ.

მამუკა კიღურაძე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მესამე კურსის სტუდენტია, ლევან თეთრაული თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის. "სამტრედიის მაცნე" ორივე მათვანს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა.

ლევან თეთრაული: ''რაც შეეხება გამარჯვებას, ეს არ იყო ჩემი პირველი მცდელობა, გადაცემაში რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა. რასაკვირველია, სირთულეები ახლავს მონაწილეობას, მით უმეტეს, სტუდენტურ სეზონში, ვინაიდან არაერთ გამოცდილ მოთამაშეს თუ გუნდს შევხვდით. ალბათ, მთავარი ფაქტორი, რამაც ჩვენი წარმატება განაპირობა, არის გუნდური მუშაობა. მყავდნენ ძალიან ძლიერი თანაგუნდელები, მათ შორის, მამუკა კიღურაძე, რომელიც სამტრედიის ინტელექტკლუბის ნამდვილად საამაყო წევრია. ჩვენ, გუნდის წევრებს, დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, ინტელექტუალური თამაშების ''რა? სად? როდის?'' სპორტულ ვერსიაში ერთად ვმონაწილეობდით, შესაბამისად, შორს არ წავსულვართ თანაგუნდელის საძებნელად. მაქსიმალური პოტენციალის სამი კაცი შევიკრიბეთ და წარმატებულიც გამოდგა ეს პროექტი''.

მამუკა კიღურაძე: ''დროთა განმავლობაში, პროექტი თანდათან გაფართოვდა, უკვე სტუდენტებს შორის ტარდება შეჯიბრი, სტუდენტური გუნდების შერკინებაში ჩვენმა გუნდმა ''ოზიმანდიასი'' ღირსეული გამარჯვება მოიპოვა.''

''სამტრედიის მაცნემ'' კომენტარი სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრს, ლევან ცირეკიძეს, სთხოვა: ''ამ პროექტში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, საინტერესოა, რომ სკოლები ეჯიბრებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ სამტრედიიდან პირველად მე-

11 სკოლა იყო წარდგენილი, როცა მამუკა გახლდათ სკოლის მოსწავლე, მაშინ გავიდნენ ნახევარფინალში. შემდეგ ამ გადაცემაში თავისი ბედი სცადეს სკოლების ''ცოდნა'' და მეოთხე საჯაროს გუნდებმა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეები გადაცემის ძირითად ბადეში მოხვდნენ, ვუსურვებ მათ წარმატებებს!

ნებისმიერი ჩემი გუნდის წევრის და სამტრედიელის წარმატება უზომოდ მახარებს, დამატებითი მოტივაციაა ის, რომ ეს გადაცემა ძალიან პოპულარული და რეიტინგულია ინტერნეტსამყაროში (წამყვანიც, ალექსანდრე ლორთქიფანიძეც, ''რა? სად? როდის?'' სპორტული ვერსიის მოთამაშეა დამატებით წონას და რეიტინგს მატებს ჩვენს გუნდს, ასეთი ნაკრები რომ გვყავს. ვფიქრობ, მამუკას ასეთი წარმატება სკოლის მოსწავლეებისათვისაც უდიდესი მოტივაციაა.''

ლაშა ლორია, სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრი: '' წიგნების თარო'' ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, მაღალი კონკურენციის პირობებში ამ თამაშში გამარჯვება ძალიან რთულია და მინდა მივულოცო გუნდ ''ოზიმანდიასის'' წევრებს. განსაკუთრებით, სამტრედის ინტელექტკლუბის წევრს, მამუკა კიღურაძეს. მამუკამ და მისმა თანაგუნდელებმა ''ინტერსტელარში'' გიგა ჩალიგავამ და თეა მიქელაძემ გასულ წელს გამარჯვება მოიპოვეს ისეთ ტურნირში, როგორიცაა '' ლიტოდისეა'' (საპრიზო ფონდი 7000 ლარი). ამას გარდა, სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრები წარმატებულად გამოდიოდნენ სხვადასხვა ტიპის ტურნირებზე და დარწმუნებული ვარ, მათთვის მომავალი ტურნირები კიდევ უფრო წარმატებული იქნება''.

სამტრედიელმა ლუკა ტუღუშმა ბაქოში საქართველო წარადგინა

2019 წლის 6 დეკემბერს გამოცხადებულ კონკურსში პროექტის ''ეკონომიკის განვითარება სამტრედიაში'' გამარჯვებული სამტრედიის სკოლა ''ცოდნის'' მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. ლუკა 400 მოზარდს შორის ერთ-ერთია, რომელიც 2020 წლის 24-26 იანვრის პერიოდში ქ. ბაქოს სტუმრობდა. ახალგაზრდების საქართველოდან გამგზავრება უზრუნველყო ''დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანებამ''. ''სამტრედიის მაცნეს'' ლუკა ტუღუშმა ბაქოში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა: ''პროექტის ''გაიცანი მსოფლიო და განავითარე შენი რეგიონი'' ფარგლებში მოვინახულეთ ქალაქი ბაქო, გავიცანით საქართველოს მეზობელი სახელმწიფოსა და სტრატეგიული პარტნიორის კულტურა. 26 იანვარს მოვაწყვეთ ფართომასშტაბიანი საღამო _ ''ქართული დღეები აზერბაიჯანში''. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში, ზურაბ პატარაძე და საელჩოს თანამშრომლები. მოგვესალმა ელჩი, რომელმაც თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა ორ მეზობელ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და წარმატებები გვისურვა საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდებს. გაიმართა გრანდიოზული კონცერტი, სადაც მე, როგორც ''იქს ფაქტორელმა'' შევასრულე სიმღერა და ქართული ცეკვით ჩემი ქვეყანა აზერბაიჯანში წარვადგინე''.

ნინო ნანიტაშვილი

უნდა მიყვარდეს ბავშვი, მასწავლებელი ისე ვერ იქნები

ქეთევან ჭელიძე

ის ერთ-ერთია, ვისაც სხვათა სწავლების ნიჭი დაჰყვა. სწამს, რომ მასწავლებელი მერე კი არ ხდები, არამედ ღმერთისგანაა. მისი საქმიანობაც, უპირველესად, სიყვარულს ეფუძნებოდა. სხვაგვარად არც შეეძლო, როცა მისგან ახლის გაგების სურვილით გაცისკროვნებული ამდენი თვალი მოლოდინით შესცქეროდა. გულწრფელად შეიყვარეს და წლების შემდეგ თვითონაც დამაჯერებლად ამბობს: "უნდა გიყვარდეს ბავშვი, მასწავლებელი ისე ვერ იქნები".

ოცნება აისრულა ქალბატონმა ნატალია ნიკურაძემ: ბავშვობაში "მასწავლებლობანას" თამაში რეალობად აქცია. წითელი მელნით თავისი მეგობრების კი არა, უკვე ნამდვილი მოსწავლეების ნამუშევრებს ასწორებდა. არჩევანი არასდროს უნანია, პირიქით, ეს მისი პოზიცია იყო და საკუთარი პროფესიისადმი ერთგულება ასაზრდოვებდა მთელ მის ცხოვრებას. გაწეული ამაგიც ყოველთვის უფასდებოდა. საზოგადოებაში აღიარებული და ღირსების ორდენოსანი პედაგოგისთვის ყველა ჯილდოზე აღმატებული ის წერილებია, წლებია, სათუთად რომ ინახავს. სიყვარულით სავსე ამ წერილებიდან ამონარიდებს მკითხველსაც შევთავაზებთ, რომელიც კიდევ უფრო მეტს იტყვის ქალბატონ ნატალია ნიკურაძეზე.

"2004 წლის 1 ნოემბერს გავიცანით ერთი ჩვეულებრივი ქალბატონი... და იმდენად არაჩვეულებრივი და საოცარი აღმოჩნდა, რომ გაოცებულიც კი დავრჩი: რომ ქვეყნად არსებულა ადამიანი, რომელიც უცხო ბავშვებს წრფელი გულით შეგვიყვარებდა.

ნატალია მასწავლებელო, მე ამ სიტყვებს გულწრფელად ვწერ, იმიტომ რომ ძალიან, ძალიან მიყვარხართ... დიდად ვაფასებ თქვენს ადამიანურ ღირსებებს: სითბოს, სიყვარულსა და გაგებას. მე მართლა იშვიათად შევხვედრივარ თქვენისთანა ღირსეულ პიროვნებას, ყველაფრით დადებითად შემკულს". _ წერს ნანა კოპალეიშვილი.

არანაკლებ ემოციურია ელიზა ნიკურაძის ლექსის სტრიქონები: "დამშვიდებული თვალებით,/ ნელი ნაბიჯით მოდიხარ/ და კარებს რომ შემოაღებ,/ ჩემი იმედი მგონიხარ!"

დათო მარგველაშვილის ლექსიც სიყვარულითაა გამთბარი: "თქვენ მადლობას ვერ გადაგიხდით,/ თუნდაც ვიცოცხლოთ ჩვენ 100 წელი".

ამაღელვებელი სიტყვებით მიმართავს ნატალია ნიკურაძეს მარი თევზაძეც: "ჩემო უსაყვარლესო მასწავლებელო, ჩემო უთბილესო და უტკბილესო! არ ვიცი, რა დავწერო და როგორ გამოვხატო ამხელა სითბო და სიყვარული, ვგიჟდები თქვენზე. მთელი სიცოცხლე მემახსოვრება ჩემი ულამაზესი ნატალია მასწავლებელი, ლამაზად ჩაცმული და მუდამ მომღიმარი. დიდი მადლობა იმ ლამაზი დღეებისთვის, ერთად რომ გამოვიარეთ. თქვენთან მხოლოდ რუსულ ენას არ ვსწავლობდი, ადამიანობასაც მასწავლიდით"...

"ჩემს საყვარელ ნათელა დედიკოს!" _ ასე იწყებს სარვამარტო მილოცვას მისი ყოფილი მოსწავლე და უკვე მეგობარი ია გოგოლაძეც.

ქალბატონი ნატალია სამტრედიელია. მამას, ვარდენ ნიკურაძეს, წლების განმავლობაში ეკავა რკინიგზის ვაგზლის უფროსის თანამდებობა, დედამ, მარია პეტროვამ კი, უმაღლესი განათლების მიუხედავად, მთელი თავისი შესაძლებლობები სამი შვილის აღზრდას შეალია. მეუღლე ადრე გარდაეცვალა, მაგრამ დედა რუსეთში არ წავიდა, თავისი კერა არ მიატოვა, საქართველოს უერთგულა და ღირსეულ ადამიანებად აღგზარდაო. _ გვიხსნის ჩვენი რესპონდენტი.

მაშინდელი რუსული საშუალო (ახლანდელი მე-4 საჯარო) სკოლა დაამთავრა ნატალია ნიკურაძემ. პედაგოგის პროფესიას კი თბილისში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაეუფლა. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი სამუშაოდ დიდი ჯიხაიშის რვაწლიან სკოლაში გაანაწილეს. სწორედ აქ მოხდა მისი, როგორც პედაგოგის ნათლობა. "23 წლის ვიყავი, ამ სკოლაში რომ მოვედი", _ იგონებს ის, "პატარების სიყვარული აქაური ბავშვებისგან ვისწავლე, რაღაც არაჩვეულებრივი, თბილი ბავშვები იყვნენ. მათი სიყვარული და სითბო გამყვა მთელი ცხოვრება. 7 წელი ვიმუშავე ამ სკოლაში. როგორც პედაგოგი, აქ დავიბადე, მერე დავხელოვნდი თანდათანობით."

ჩვენთან საუბარში მადლიერებას გამოხატავს უკვე გარდაცვლილი სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის, პეტრე ლეჟავასა და ვასილ ხაბეიშვილის მიმართ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა პედაგოგს მუშაობაში და შეაყვარეს სოფელი.

როცა წარმატებული მასწავლებელი დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გადაიყვანეს, შიში დაეუფლა, რადგან სკოლისგან განსხვავებული გარემო დახვდა. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან უხდებოდა აუდიტორიაში შესვლა. მალე მოიპოვა ყველას სიყვარული და პატივისცემა. ცდილობდა, თავისი მოსწავლეებისთვის მარტო მასწავლებელი კი არა, მეგობარიც ყოფილიყო.

"ნიშანს ყოველთვის ვუმატებდი მათ. ვეტყოდი, შენ კი სწავლობ, მაგრამ მე ამ ნიშანს გიწერ. ერთი ჩემი ნამოწაფარი ბიჭი ახლაც მხვდება და სულ მიმეორებს: ყველამ სამიანი დამიწერა, თქვენ კი ოთხიანი დამიწერეთ, ამის ძალიან დიდი მადლობელი ვარ, არასდროს დავივიწყებო." _ იგონებს ღიმილით.

არამარტო პროფესიული, საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩეოდა ნატალია ნიკურაძე. იგი სასწავლებლის პარტიული ორგანიზაციის მდივნად იქნა არჩეული, რაც მაშინ ადვილად მისაღწევი არ გახლდათ. იყო პედაგოგთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების დელეგატი მოსკოვსა და თბილისში. 25 წელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ტექნიკუმში, მაშინაც, როცა ის კოლეჯად გადაკეთდა. მისთვის სასწავლებელი ტაძარი იყო, სადაც ყოველთვის მიუხაროდა. კარგ კოლექტივში მუშაობდა. როცა ცვლილებები მოხდა და ეს ადამიანები იძულებული შეიქნენ, სამსახური დაეტოვებინათ, ქალბატონ ნატალიას უცრემლოდ არ შეეძლო ამის ნახვა.

საუკეთესო დირექტორები მყავდნენო, ამბობს. მუშაობა რომ დავიწყე, ბატონი პოლიკო მიქაძე უკვე ავად იყო და მის მოვალეობას ალექსანდრე ქუთათელაძე ასრულებდა. დიდი მადლობელი ვარ განყოფილების გამგის, დავით ლეჟავასი. სასწავლებელში მისულს ის გვერდით დამიდგა და მამხნევებდა. ბრწყინვალე ადამიანი იყო სოსო ხაჟალია. სწორედ მისი დირექტორობის დროს ვიყავი პარტბიუროს მდივანი, ასევე იური გოგია, ნუგზარ მიქაძე". _ სიყვარულით საუბრობს თავის ყოფილ ხელმძღვანელებზე ამაგდარი პედაგოგი. ბოლოს, 15 წელი ისევ დიდ ჯიხაიშში, საჯარო სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. განსაკუთრებული სიხარულით სავსე დღეები გაატარა მან ამ სკოლაში. შვილი არ მყავსო, გვითხრა, მაგრამ თავის მოსწავლეებთან ყოველთვის არანაკლები დედაშვილური ურთიერთობა აკავშირებდა. მასწავლებელს ასაკი რომ არ აქვს, ამაშიც გვარწმუნებს. საინტერესო ღონისძიებებს აწყობდა, სადაც თავის მოსწავლეებთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა კიდეც, მათი ტოლი ხდებოდა, რაც კიდევ უფრო აახლოვებდა თავის აღსაზრდელებთან.

პოლიტიკური უთანხმოება, ნატალია ნიკურაძის აზრით, საგანმანათლებლო სისტემაში თავის უარყოფით კვალს არ უნდა ტოვებდეს, ამიტომაც რუსული ენის შესწავლის აუცილებლობაში არწმუნებდა თავის მოსწავლეებს, ეთანხმება აზრს, რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი რომ ხარ. კეთილ სიტყვებს არ იშურებს სკოლის დირექტორის, მანანა ხახალიასა და მისი მოადგილის, თინათინ ჩუბინიძის მიმართ, ყოველთვის გვერდით რომ ედგნენ. ნუნუ ნუცუბიძეზეც ისაუბრა, ჩემზე უფროსი ქალბატონია და ისიც რუსულს ასწავლის სკოლაშიო. ეძნელება გასული წლის 1-ლი ივნისის გახსენება. სკოლიდან წასვლის გადაწყვეტილება რომ მიიღო, ამ დღეს საზეიმო გაცილება მოუწყვეს, ამაღლებული და მღელვარებით სავსე ღონისძიება გამოვიდა. თურმე რამდენი სიყვარული მომიპოვებიაო, ცრემლმორეულმა აღნიშნა. სკოლიდან წამოვიდა, რადგან უკვე 70 წლისაა და დასვენება გადაწყვიტა ამჯერად კერძო საადვოკატო ბიუროში ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. სკოლა კი ის ადგილია, რომელიც ძალიან ენატრება, მაგრამ თავს არიდებს იქ მისვლას. იცის, გული ეტკინება. ერთხელ რომ დასჭირდა და მივიდა, თითქმის მთელი სკოლის ბავშვები გარს შემოეხვივნენ: "დაბრუნდით, ნატალია მასწავლებელო, დაბრუნდით?" ამ სიყვარულს ვერაფერზე გაცვლის მასწავლებელი, რომელმაც ათეულობით წელი იღვაწა. დიდ ჯიხაიშს კი თავის მეორე მშობლიურ ადგილად თვლის. მაქსიმ გორკის სიტყვებს იშველიებს: "გორკი ამბობდა, მე ორი სამშობლო მაქვსო, რუსეთი, სადაც დავიბადე და საქართველო, სადაც ჩემი პირველი ნაწარმოები გამოვიდა. მეც ასე ვარ, დავიბადე სამტრედიაში და 46 წელი ვიმუშავე დიდ ჯიხაიშში. ძალიან მიყვარს."

ქალბატონ ნატალიას ჰყავს მეუღლე, ნუგზარ წიქვაძე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა აფთიაქის გამგედ საჯავახოში. მზრუნველობს 97 წლის დედას და სიცოცხლეს უხანგრძლივებს მას. არა მარტო კარგი მასწავლებელი, არამედ კარგი ადამიანიც არის ნატალია ნიკურაძე. კეთილია და ერთგული. მის გარშემო ყოველთვის ტრიალებენ მეგობრები, ნათესავები, ყოფილი მოსწავლეები. სწორედ მათი ინიციატივაა, წერილი დაგვეწერა მასზე. ოპტიმისტია, იმედით სავსე და ვერც წლები აკლებს რამეს. სულიერი მდგომარეობა მის ფიზიკურობაზეც დადებითად ისახება, საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურება და ცდილობს, თავისი განწყობა სხვებსაც გადასდოს.

2020 წელი იმერეთში ბიზნესის განვითარებისათვის განსაკუთრებულად საინტერესო იქნება

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის, ზვიად შალამბერიძის, განცხადებით, 2020 წელი იმერეთში ბიზნესის განვითარებისათვის განსაკუთრებულად საინტერესო იქნება. ამის შესახებ ზვიად შალამბერიძემ ქუთაისში, რეგიონის ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომელშიც სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი გიორგი პერტაია, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში ზვიად შალამბერიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ირაკლი ნადარეიშვილი და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის მოადგილე, გურამ გიორგაძე მონაწილეობდნენ.

"2020 წელი იმერეთში, განსაკუთრებულად არის საინტერესო ბიზნესის განვითარებისათვის და ბიზნესმენებისთვის გამომდინარე იქედან, რომ ძალიან საინტრესო პროექტები მიმდინარეობს და ასევე ძალიან საინტერესო პროექტებია დაანონსებული. შესაბამისად, ჩვენგან მაქსიმალურად იქნება ბიზნესის ხელშეწყობა, რომ მოხდეს მეტი სამუშაო ადგილის გაჩენა", _ განაცხადა ზვიად შალამბერიძემ. შეხვედრაზე ითქვა, რომ ბიზნესთან უშუალო კომუნიკაცია და გამოწვევების გამოვლენა, სახელმწიფო სერვისებსა და საერთაშორისო გრანტებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა _ ეს ის მთავარი საკითხებია, რის გარშემოც ღია დიალოგის ფორმატში მსჯელობენ. ასევე, მიმოიხილავენ დაგეგმილ და მიმდინარე ინიციატივებს. მცირე და საშუალო მეწარმეების გამოწვევებს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ყველა რეგიონში გაეცნობა, მოხდება პრობლემების სიღრმისეული ანალიზი, შემდგომი რეაგირებისათვის დონორებთან და შესაბამის უწყებებთან ბიზნესის პრობლემების მიტანა და ხელშეწყობა.

ადგილობრივ ბიზნესწრეებთან შეხვედრის მიზანია პრიორიტეტების გამოკვეთა, რათა მოხდეს კონკრეტული საკითხების შესაბამის უწყებებამდე დროული მიტანა. ასევე, რეგიონული ბიზნესის განვითარების და სფეროში არსებული პრობლემების მოგვარების ხელშეწყობა.

ნინო ნანიტაშვილი

მოდით თეატრში!

ინტერვიუ რეცენზიის ნაცვლად

თეა ბაბუნაშვილი

ის, რაც ახლა თქვენ უნდა წაიკითხოთ, შემოქმედის ტკივილია, პატარა ქალაქში დარჩენილი ხელოვანის ტკივილი, რომელსაც საკუთარი ნიჭის გამოვლენის მეტი გასაქანიც ჰქონდა, რომ არა ის კედლები,ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრი რომ ჰქვია. აქ მისმა ბავშვობამ, ახალგაზრდობამ გაიარა. დავით ტაბიძის თეატრალური სტუდიის აღსაზრდელმა ბოლომდე ისე უერთგულა ამ თეატრს, როგორც ეს თავის დროზე უსაყვარლესმა პედაგოგმა ასწავლა. და არა მარტო მას, ყველა იმ ადამიანს, რეჟისორსა და მსახიობს, დღემდე რომ ერთგულობენ სამტრედიულ თეატრალურ ხელოვნებას. ვეფხია ნადირაძე, ლორიტა ჯორჯიკია, გია სტურუა, რადი შენგელია და კიდევ სხვები, ისინი, იმ წლებიდან მოყოლებული დღემდე სამტრედიის სახალხო თეატრის სცენის მტვერით სუნთქავენ. და აქვე, მათ გვერდით არ შეიძლება როლეჲ გოგიშვილის გარ-სახელიც არ გახსენოთ, ამ ადამიანებისა და სამტრედიული თეატრის ტკივილი დღემდე რომ არის.

პეტერბურგის საერთაშორისო ინსტიტუტის დრამის რეჟისურის ფაკულტეტი დაამთავრა, რეჟისორი გახდა და კვლავ მშობლიურ თეატრს დაუბრუნდა.

თუმცა, სადაც იტყვი, სათქმელი ყველგან სათქმელია, კარგად ნათქვამს არ აქვს გეოგრაფია და მას გამგები ყველგან გაიგებს! ასეა რეჟისორ ლორიტა ჯორჯიკიას შემთხვევაშიც. თავად ჩამოაკითხა "უძინართა მზეში" როლზე დამტკიცებულს თემურ ბაბლუანმა, მაგრამ... აქაურობის ღალატი მეგონა მაშინ წასვლაო. ნანობს? ვერავინ იტყვის წლების გადმოსახედიდან გული არ სწყდებოდეს მეტ გასაქანმიუცემელ ნიჭსა და შესაძლებლობებზე, მით უმეტეს, უნიჭობის ზეიმის კულუარებში!

ახლა ლორიტა ჯორჯიკია ჩემი რესპონდენტია. კი არ ისაუბრა, ვისაუბრეთ, ერთმანეთის გულისტკივილი კარგად გვესმოდა და იმიტომ! ეს შეხვედრა იმ რეცენზიის ნაცვლად შედგა, მისი სპექტაკლის გამო რომ უნდა დაწერილიყო. რიჩარდ ბაერის "შერეული გრძნობები" რამდენჯერმე ვნახე, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მასზე ამჯერადაც ვერ ვწერ სათანადოდ. სხვათა შორის, ეს ის სპექტაკლია, რეჟისორსა და მთავარი როლის შემსრულებელ ლორიტა ჯორჯიკიას მესამედ რომ მოუტანა ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ტიტული იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე. სხვადასხვა დროს ამავე ფესტივალზე სამჯერ ერგო მაყურებლის სიმპათიის ჯილდო.

ბუნებრივია, ყველა მისი სპექტაკლი უყვარს, მაგრამ 1996-1997 წლებში დადგმული ლუიჯის "გული", გამორჩეულად. საყვარელი როლი კი "ლოლაა" საკუთარი შესრულებით "შერეულ გრძნობებში". ყოველთვის მხიარული ქალების როლებს თამაშობდა და გული წყდებოდა, დრამატული სახის შექმნა ძალიან უნდოდა. "ლოლა" სწორედ ის სახე გახლავთ და იმდენად კარგად შეასრულა, ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი გახდა. თვლის, რომ სცენაზე მისი და რადი შენგელიას ტანდემი მის სხვა პარტნიორებთან თამაშზე მეტად გამორჩეულია, რადი მისი საუკეთესო პარტნიორია. "რადი გრძნობს პარტნიორს და მას უკეთ თამაშის შესაძლებლობას აძლევს." – ამბობს იგი.

ინტერვიუს წაკითხვამდე კიდევ ერთხელ იმაზე, რითაც დავიწყეთ: აქ ბევრია ხელოვანის ტკივილი და არაფერ შუაშია დიდი და პატარა ქალაქი, არც მოთხოვნილებები. მისი წამალი ადამიანების, ინდივიდების თვითშეგნებაა. ეს უკანასკნელი კი დიდ ქალაქებშიც ისეთია, როგორიც პროვინციაში, რადგან განათლებასა და ინტელექტს პროვინციული საზღვრები არ აქვს!

საინტერესო საკითხავია ეს ინტერვიუ, რადგან საინტერესოდ მოსაუბრე სცენის მტვერით მოწამლულ რეჟისორისა და მსახიობთან ჩაიწერა იგი. მას არაფერი უთხოვია საზოგადოებისთვის გარდა იმისა, რომ საკუთარ თავში სულიერების აღსაზრდელად თეატრში მოვიდნენ!

– ახალს ვერაფერს ვიტყვით იმით, რომ პური და სანახაობა ქვეყნის მართვის ყველაზე ადვილი შესაძლებლობაა. ამ გამოთქმის ავტორი ომპერატორი გაიუს ოქტავიანე სანახაობაში არა მხოლოდ თეატრალურ ხელოვნებას გულისხმობდა, მაგრამ მაშინ უფრო უკავშირდებოდა სანახაობა თეატრს, ვიდრე დღეს. ახლა სანახაობა სხვა სცენაზე სხვანაირ "სანახაობად" და პურის შოვნის, ფულის შოვნის ძირითად საშუალებად იქცა. სულიერება კარგა ხანია, აღარ განსაზღვრავს ყოფიერებას, პირიქით! ამის შედეგებს ყოველდღე ვხედავთ...

– სამწუხაროდ, დღეს ხელოვნება ყოფიერების დანამატად არის მიჩნეული! მეორე მსოფლიო ომის დროს კინოფილმებს ფრონტის წინა ხაზზე აჩვენებდნენ, კონცერტებს ატარებდნენ ჯარისკაცებისთვის. კინოფილმი "ჯარისკაცის მამა" ყველას გვიყვარს, ორკესტრს რომ ატანენ ომში წასულებს, ხომ გახსოვთ?! თეატრი და ზოგადად ხელოვნება, არასდროს ყოფილა მეორეხარისხოვანი და ეს ეტყობოდა კიდეც ადამიანების როგორც სულიერებას, ისე კულტურასა და განათლებას. დღეს მთავარია გავძლეთ! დიახ, ასე უხეშად, გავძლეთ! ამას სხვა სახელი არ აქვს! არადა, ადამიანი გაძლომას ვერასდროს ვერ ხვდება! უფრო დელიკატურად რომ ვთქვა, 30 ლარიანი ხელფასითაც ვცხოვრობდი და დღეს 300 ლარიანითაც ვცხოვრობ, თუმცა, მოთხოვნილებები იმატებს და კიდევ უფრო დიდ ანაზღაურებაზეც იქნებ არ მყოფნის-თქო, ვთქვა რაღაც პერიოდის შემდეგ. დიახ, იყო დრო გვიჭირდა, ეკონომიური სიდუხჭირე ყველასთვის თითქმის ერთნაირი იყო, ბნელი წლები გამოვიარეთ, თუმცა სულიერებით უფრო მდიდარი. იმის თქმა მინდა, რომ მაშინ მართლა არ გვქონდა, ახლა უკეთ გვაცვია, უკეთ ვიკვებებით, თუმცა თეატრი კვლავ ბოლო ადგილზეა ჩვენს "რაციონში"!

– არ გგონიათ, რომ გარდა ოჯახისა, ამ ყველაფერზე ფიქრი ჯერ ისევ საბავშვო ბაღიდან, სკოლის კედლებიდან უნდა დავიწყოთ?

– არ ვიცი რატომ, მაგრამ სკოლა მისით არ იზამს, თუ ხელისუფლებამ, განათლების სამინისტრომ, შესაბამისმა უწყებებმა არ დაავალა სასწავლო დაწესებულებებს თეატრი და ზოგადად კულტურული მხარე, დიდი დოზით ჩართონ სასწავლო პროგრამებში. ახალი თაობა იმიტომ გვაფურთხებს სახეში, იმიტომ იგინება საკუთარ დედას, იმიტომ იმეტებენ ადვილად ერთმანეთს, რომ შორს არიან სულიერებისგან, შორს არიან თეატრისგან. თეატრში ადამიანი ეთიკის ნორმებს ეჩვეოდა, ჩაცმის, საზოგადოებაში მოქცევის კულტურას სწავლობდა. ეს რაც შეეხება გარეგნულ მხარს. შინაგანად კი უკეთეს ადამიანად ყალიბდებოდა, სულიერი საზრდოთი იკვებებოდა, ერთგვარ განათლებას იღებდა. მაგრამ ვინ მიიყვანოს ბავშვი თეატრის კარამდე, როცა მშობელს, პედაგოგს და სკოლის დირექტორს თავად არ შეუღიათ იგი?! ჩვენ ხუთი საბავშვო სპეტაკლი გვაქვს რეპერტუარში. "ანა ფრანკის დღიურები" რომ დავდგი, სკოლებმა ბილეთები არ დაიტოვეს. შეიძლება სკოლამ "ანა ფრანკის დღიურების" მოსწავლეებისთვის ნახვაზე უარი თქვას?! ბავშვს ჭამას თუ არ მიაჩვევ და დააძალებ, მთელი დღე ითამაშებს და საჭმელს არ მოგთხოვს. თუ თავიდან არ აღვზარდეთ ბავშვი მაღალ იდეალებზე, მისგან კარგ მოქალაქეს ვერ მივიღებთ. და ამას ოჯახი თუ ვერ აკეთებს, სკოლამ უნდა გააკეთოს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვერ მივიღებთ მოქალაქეს, რომელიც ქუჩას არ დაანაგვიანებს, სადაც ჭამს, იქ არ დაყრის ნაგავს, დასასვენებელ პარკში სკამს არ დაამტვრევს, მასზე ფეხით არ "დაჯდება", მცენარეებს არ დააზიანებს. ეს ხომ ყველაზე ელემენტარულია!

– ცოტა ხნის წინ ქუთაისში საბავშვო თეატრის აღდგენით გავიხარეთ, ეს, მართლაც, სასიამოვნო ფაქტია. თქვენც ახსენეთ და ვიცით, რომ საბავშვო სპექტაკლები სამტრედიაშიც იდგმება. დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ძალიან განათლებული თაობა მოდის. გასაგებია, მათი მშობლების თაობის ინდიფერენტულობა, მაგრამ იმ თაობის დაინტერესება როგორია საბავშვო სპექტაკლებით, ძალიან განათლებულად რომ ვნათლავთ?

– ის თაობა მხოლოდ ინგლისურის სწავლასაა მიჩვეული. აქედან იწყება მათი განათლება. და ასეა უმეტეს შემთხვევაში. ღმერთმა ნუ ქნას, ყველა ასეთი იყოს. ერთ საბავშვო სპექტაკლში რომ მიიღოს ბავშვმა მონაწილეობა, უპირველესად იხსნის კომპლექსებს, ბუნებრივია, კარგი გაგებით, ეხვეწება მეტყველება, სწავლობს წინადადებაში მთავარი სიტყვის და აზრის მოძებნას, ეჩვევა საზოგადოებრივად აზროვნებას. ცოტაა ეს? სად შეიძლება კიდევ მსგავსი რამ ისწავლოს?! ქორეოგრაფიული და საბავშვო მუსიკალური ანსამბლების კონცერტებზე კარებს ამტვრევს მშობელი, რომ დარბაზში შემოვიდეს. მაშინ არც ბილეთის გაყიდვის პრობლემაა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვთქვა, არ არის ეს საჭირო-თქო, როგორ არა, პირიქით, მაგრამ ჩვენთან სულ ერთია, სმენა, რიტმი აქვს თუ არა, როგორ ცეკვავს და მღერის, რაც მთავარია, ხომ "უბერავს", სცენაზე ხომ დგას, "თიატრში ხომ აქვს კონცერტი"... სამწუხაროდ, ესაა ჩვენი კულტურა, დიმპიტაური, დამპიტაური, მასვი, მაჭამე, მალხინე! აქამდე დაგვიყვანეს და დაგვიყვანეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება ყოფიერების დანამატი გახდა. მაგრამ თავი დავანებოთ სკოლებს, ბავშვებს და მშობლებს, ადგილობრივი მერიის შენობაში მოსაწვევებს ვარიგებთ, ანუ არც ბილეთ-

ის თანხაა გადასახდელი. რამდენი ადამიანი მუშაობს იმ შენობაში? სპექტაკლზე მოვა ხელმძღვანელობიდან 5-10 კაცი. ესაა მაქსიმუმი. და ვინც მოვა, იქნებ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეიძლება. ეს არ გახლავთ მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა. ასე ინერციით მოდის თითქმის 20-25 წელია. ჩვენ გავხსოვს დრო, იმდენ ყურადრებასაც რომ არ იჩენდა ხელისუფლება თეატრის მიმართ, რამდენსაც დღეს იჩენს. მოსაწვევს გიგზავნი და სპექტაკლზეც არ უნდა მოხვიდე? ვინ გაბედავდა ამას ჯულიეტა გოგავას დროს?! იმედაძის მდივნობის პერიოდში ჩვენ მოსაწვევი საერთოდ ამოვიღეთ, მადლობელი ვარ ადგილს რომ მინახავთო, ამბობდა. მოსაწვევს მხოლოდ რედაქციას, ტელევიზიას ვუგზავნიდით...

_ განსაკუთრებით მესიამოვნა, ეს რომ მესმის თქვენგან. ჩვენს ქალაქში დღეს ხშირად ეჭვქვეშ დგება ჟურნალისტების საჭიროება კულტურულ და არა მხოლოდ კულტურულ ღონისძიებებზე. მოსაწვევების დარიგებისას, მითუმეტეს! რიგ ღონისძიებებზე იქნებ სკამიც ვერ მოიძებნოს მათთვის. გარდა ამისა, შეიძლება, არაერთი კომპეტენტური ორგანიზაცია, საგანმანათლებლო თუ სხვა დაწესებულება მუნიციპალიტეტის სინამდვილეში თავს იკავებდეს, მეტიც, არ იწერდეს რაიონულ გაზეთს?! შეიძლება მას პატივს არ სცემდნენ ის ადამინები, ვინც სხვებს უნდა მოუწოდებდნენ მსგავსი დარგების პატივისცემისკენ და ამ კუთხით თავად უნდა იყვნენ მაგალითი?!

_ ჩვენ უკეთ გავიგებთ ერთმანეთისას, რადგან გვესმის ერთმანეთის საქმიანობის ნიუანსები, ვიცით, რას ნიშნავს პროფესიონალიზმი და თუნდაც ენთუზიაზმზე, საკუთარი საქმის ერთგულები ვრჩებით. დარწმუნებული ვარ, ფიქრობენ: რა უნდა ამის დაწერას. აბა დაწერონ! და რა დღე გადგებათ როცა გაზეთის მომზადების დღე გაქვთ?! ადვილი ჰგონიათ! ერთმა ადამიანმა, ბუნებრივია, გვარს არ გავამხელ, მითხრა, დამაკავე ერთი სპექტაკლშიო. დავაკავე. ორ რეპეტიციაზე მეტი ვერ გაძლო, ეს ადვილი მეგონა და რა ყოფილაო. ფიქრობენ, სიცილ-ხარხარით კეთდება სცენის მიღმა ყველაფერი. ამაზრზენია ზოგიერთის კითხვა, ისეთის, თავი ზეგანათლებულად რომ მოაქვს _ "როდის გაქვენ კონცერტი?" უკეთეს შემთხვევაში _"თიატრი არ გაქვენ?" თეატრი გვაქვს და სპექტაკლს მუშაობა, მომზადება სჭირდება!

_ ზოგადად, როგორ შეაფასებთ სამტრედიის თეატრს. როგორც ვიცით, იგი სახალხო თეატრია და მის დასში არიან როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი მსახიობები. თუ გავითვალისწინებთ იმ პრობლემებს, რაც რეგიონებში აქვთ მსგავსი ტიპის თეატრებს, კიდევ უფრო ცხადი გახდება თქვენს წინაშე მდგარი სიძნელეები.

_ დავიწყებ იმით, რომ სახალხო კი არა, აკადემიურ თეატრებსაც უჭირთ. უპირველესად ძალიან დასანანი და გასაკვირია ის, რომ თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაში, ხელოვნების ქვეყანაში, საქართველოში, კარგი მსახიობისა და რეჟისორის პრობლემაა და რაც დრო გადის, ეს პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება, ნაცვლად იმისა, რომ ამოივსოს და მოიხსნას. თავი დავანებოთ ყოფით პრობლემებს, როცა საქმე უშუალოდ მსახიობისა და რეჟისორის ნამუშევარზე მიდგება, გაოცებული ვრჩები, აკადემიური თეატრის ბევრი სპექტაკლის ნახვისას, მგონია, ჩემი თეატრის სპექტაკლს ვუყურებ! ამით შეურაცყოფას არანაირად არ ვაყენებ და არ ვაკნინებ ჩვენს თეატრს, პირიქით. რასაც ჩვენი დასი ახერხებს, რიგ შემთხვევებში იმას აკადემიური თეატრი ვერ აკეთებს. არ ვამბობ, რომ ყოველთვის ასეა, მაგრამ არაერთი მინახავს ასეთი სპექტაკლი! რაც შეგვეხება ჩვენ, არის შემთხვევა სპექტაკლი არ გამოგივა, გამოცხობა აკლია. და როგორც აღვნიშნე, ეს ჩვენ კი არა, დიდ თეატრებსაც ემართებათ, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი კარგი სპექტაკლი გვაქვს. არ გვქონია შემთხვევა, დაუჯილდოებელი, პრიზის გარეშე ჩამოვსულიყავით რომელიმე ფესტივალიდან, სადაც კი წავედით. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ მთის ჩიტივით "შევაკვდით" სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრს მე, ვეფხია ნადირაძე, გია სტურუა, რადი შენგელია, ირინა მაჭავარიანი, მაყვალა ტკვაცირია. დღემდე ღირსეულად დგას სცენაზე 80 წელს მიღწეული ქალბატონი ჟუჟუნა ნიკურაძე. მერე დაგვემატნენ თამაზ გოგიშვილი, იმედა აბზიანიძე, მარინა მსხილაძე. არ შეიძლება არ მოვიგონო ჩვენი როლეზი, ჩვენი ტკივილი! და მასთან ერთად მზია ჩიხლაძე, ბადრი შენგელია, ბადრი ჯანჯალია, გივი ახობაძე, სერგო დუნდუა. აქვე უდიდესი ქალბატონი, ლია კუჭუხიძე. ყველა ამ ადამიანმა დღემდე მოიყვანა და საკუთარი სიტყვა თქვა ჩვენი რაიონის თეატრალურ ცხოვრებაში. ამას დანახვა უნდა და უპირველესად იმან უნდა დაინახოს, ვისაც ევალება ამის დანახვა! ჩვენთან უნიჭო სპექტაკლები არ იდგმება! მე ამის თქმის საფუძველი მაქვს! და ეს მიუხედავად იმისა, რომ არ ვართ პროფესიული თეატრი. თუმცა, აქვე ბატონი თემურ შაშიაშვილის სიტყვები უნდა გავიმეორო, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემდი, რადგან მან იცოდა ხელოვნების და ხელოვანის ფასი და დაფასება: მე არ მესმის პროფესიული და არაპროფესიული თეატრი, თეატრი არის თეატრი!" სხვათა შორის, სწორედ ბატონი თემურის წამოწყებაა თეატრალური ფესტივალი იმერეთში, რომელმაც დღეს საკუთარი ადგილი ღირსეულად დაიკავა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. მისი კომპეტენტურობის მასშტაბები ყოველ წელს კიდევ უფრო იზრდება და სოლიდური ხდება.

და იმათ გასაგონად, ვინც კითხვას სვამს "როდის გაქვთ თიატრი": დავიწყებ იმით, რომ უშუქობის წლებში ჩვენ სანთლის შუქზე ვრეპეტიციობდით. დღეს კი ჩვენ მსახიობები გაყინულ სცენაზე დიდხანს ვრეპეტიციობთ, თავდაუზოგავად ვშრომობთ, რომ თქვენამდე სცენიდან ჩვენი სათქმელი, საქვეყნო სათქმელი მოვიტანოთ. ხშირად სიცხიანი, წნევიანი, ავადმყოფი ვმდგარვართ სცენაზე, მაგრამ ეს თქვენთვის თავს არ მოგვიხვევია, ჩვენს მხრებს უკან მდგარი ყოფითი პრობლემები, ისეთივე პრობლემები, რომლის გულისთვისაც თქვენ არ "გეთიატრებათ", თქვენთვის

"იმედი" სახალხო ანსამბლის ტიტულის მფლობელია

ნათია ნაცვლიშვილი

ქორეოგრაფიული ანსამბლი "იმედი" სამტრედიის კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია. მისმა მოცეკვავეებმა, ცეცხლოვანმა გოგო-ბიჭებმა, ქართულ გენში ჩადებულ ნიჭს რომ განასახიერებენ და ანსამბლის ისტორიას ცეკვით წერენ, ახლახან კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს. ანსამბლს მრავალწლიანი შრომა დაუფასდა _ დარგის მესვეურებმა მას სახალხო ანსამბლის წოდება მიანიჭეს, ხოლო, ანსამბლის დამფუძნებელი, ზვიად ვაშაკიძე, უკვე მეორედ (პირველად 2015 წელს) დაჯილდოვდა ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის საპატიო წოდებით.

ზვიად ვაშაკიძე 7 წლის ასაკიდან ცეკვავს, ამბობს, რომ ცეკვა ბიძამ, ქართლოს ვაშაკიძემ შეაყვარა. 16 წლისა ქუთაისის აკაკი ვასაძის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ჩაირიცხა. "14 წელი ვიცეკვე, ჩემი პირველი პედაგოგი სოსო შენგელიაა, მან შემასწავლა ცეკვის ანბანი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კონკურსის წესით ამიყვანეს ჯარის სახელმწიფო ანსამბლ "მხედრულში" (ხელმძღვანელი ჰამლეტ კობეშავიძე)." _ გვეუბნება ბატონი ზვიადი.

მან დედაქალაქში ყოფნას მშობლიურ სამტრედიაში ჩამოსვლა არჩია, შექმნა ოჯახი და დაიწყო მომავალ კარიერაზე ფიქრი. საკუთარი პედაგოგისგან ჰქონდა შეთავაზება, ერთად ემუშავათ, მაგრამ მიზეზთა გამო, ვერ მოახერხა ეს და 2005 წელს დაიწყო დამოუკიდებლად სოფელ ჩხენიშში ცეკვის პედაგოგად მუშაობა. "ყველაზე შორს წავედი, რომ ჩემი თავი გამომეცადა, ასე გაჩნდა "იმედი", მინდოდა, საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ მარტოს შემეძლო გადამელახა სირთულეები და წლების შემდეგ მეც ისეთივე პედაგოგი ვყოფილიყავი, როგორებიც არიან ჩემი უფროსი ღვაწლმოსილი კოლეგები." _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

მან ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე გაიშალა მუშაობა: ცეკვის პედაგოგად იმუშავა ჩხენიშის, ეწრის, კულაშის, ნაბაკევის, მიწაბოგირის, მეათე, მეთერთმეტე, მეექვსე საჯარო, ნოღის და ტოლების სკოლებში. ასევე, დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლაში. "კვირაში ორი დღე დავდიოდი აღნიშნულ სკოლებში, 4 წელი ვიმუშავე ჯარის რეჟიმით, დამწყები კადრი ვიყავი და ვაცნობდი ყველას ჩემს შემოქმედებას, რომ ჩემი შრომით გარკვეული შედეგისთვის მიმეღწია და მერე, ერთ დღესაც ყველა ეს ადამიანი ერთ დარბაზში მომეწვია. მოვიწვიე კიდეც, ეს მოხდა 8 წლის წინ, დავბარე ერთ-ერთ სადღესასწაულო დარბაზში სამასი მშობელი, იქ გადაწყდა საიუბილეო კონცერტის მოწყობა, რომელშიც 150-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ეს ბავშვები შეადგენენ დღესდღეობით ანსამბლის ძირითად კონტინგენტს. პირველი თაობის წევრები დღეს 16-17 წლისანი არიან. ანსამბლის პირველი პროექტის სახელწოდება იყო "სოლო კონცერტი" კონსულტაციას მიწევდა რამაზ ჩიხლაძე და ასევე მედგა გვერდით მეგობარი, ვაჟა ზამთარაძე. იმხანად მახსოვს სატელევიზიო ინტერვიუში ვთქვი: ამიერიდან სკოლებში პედაგოგად მუშაობას ვწყვეტ და ამ ნიჭიერ ბავშვებს ქალაქის ცენტრში მოვუყრი თავს-მეთქი, ასეც მოხდა. პირველი რეპეტიციის დღესვე ჩემს ანსამბლს დავარქვი "იმედი". ეს იმიტომ, რომ ყოველი დღე იმედის მომცემი იყო, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია "იმედთან" ერთად დავიწყე, ამ ნიჭიერი ხალხის გვერდით დგომით შემოქმედებითად ვიზრდებოდი." _ ასე იხსენებს ანსამბლის უახლოეს ისტორიას ზვიად ვაშაკიძე, რომელიც 16 წელია, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია.

2017 წლის 5 ივლისს ანსამბლმა "იმედმა" აღნიშნა დაარსებიდან 5 წლის იუბილე და გამართა საანგარიშო კონცერტი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში. კონცერტს ესწრებოდნენ მოწვეული და ადგილობრივი სტუმრები, ღონისძიების წამყვანი იყო მოწვეული სტუმარი, ზაზა ალექსიძე. ჟიურის თავმჯდომარე რესპუბლიკის სახალხო არტისტი თენგიზ ურთმელიძე გახლდათ. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის პირველი მოადგილე, იური ტორაძე, რეგიონალური ქორეოგრაფიული კავშირის თავმჯდომარე, ქართული ცეკვისა და ქორეოგრაფიის ქურუმი, ჯეირან გოგინავა და ადგილობრივი ქორეოგრაფები. კონცერტს ესწრებოდნენ სამტრედიის მინიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები.

მეორე კონცერტი ანსამბლმა "იმედის" სამტრედიაში დაფუძნების 5 და ანსამბლის მოღვაწეობის 15 წლის იუბილეს მიუძღვნა. "ეს პროექტი განვახორციელეთ ნიჭიერ ადამიანებთან, ქორეოგრაფ ლევან ნუცუბიძესა და ქალბატონ ანა ჯინჭველეიშვილთან ერთად, ჩვენ ერთი ძლიერი გუნდი ვართ და წარმატებისკენ ერთად მივდივართ." _ გვეუბნება იმედის სამხატვრო ხელმძღვანელი.

პარალელურად იყო ანსამბლის არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვება და წარმატება. 2017 წლის აგვისტოს ბოლოს ანსამბლი საკუთარი ხარჯით წავიდა ევროპის საერთაშორისო ფესტივალზე, ქუთაისის ქორეოგრაფიულმა სასწავლებელმა "იმედს" რეკომენდაცია გაუწია, როგორც ძლიერ ანსამბლს, რომელიც საქართველოს სახელს გაუთქვამდა. ასეც მოხდა, 24 დღიანი ევროპული ტურნეს ფარგლებში მოცეკვავეებს გასტროლები ჰქონდათ: ესპანეთში, საფრანგეთში, ბულგარეთში, იტალიაში, ხორვატიაში, სლოვენიაში, სერბეთსა და თურქეთში.

წლეულს, 10 ნოემბერს წყალტუბოში გაიმართა ანსამბლების დათვალიერება-კონკურსი, დასავლეთ საქართველოდან 65 პრესტიჟული ანსამბლი იღებდა მონაწილეობას ამ დათვალიერება-კონკურსში, "იმედი" იქ 2 ცეკვით _ გურული "ფერხული ფარცა-კუკუ" და აფხაზური "შარატინი" წარსდგა. _ "მიუხედავად იმისა, რომ "იმედის" გარდა კიდევ ოცდაათმა ანსამბლმა წარმოადგინა ცეკვა აფხაზური, ჩვენმა ცეკვამ დაიმსახურა ყველაზე მაღალი ათბალიანი შეფასება და ჟიურიმ იმ დღის ფავორიტ ცეკვად აღიარა! ჟიურის წევრმა, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის მთავარმა ქორეოგრაფმა მურმან გაბისონიამ თქვა: ასეთი სუფთა და სწორი აფხაზურის შესრულება ბავშვთა კოლექტივებში არ მინახავსო!" _ სიამაყით გვეუბნება ზვიად ვაშაკიძე.

წყალტუბოში ანსამბლის საუკეთესო გამოსვლის შემდეგ, ქორეოგრაფთა კავშირის გადაწყვეტილებით, ანსამბლს მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება. ამას წინ უძღოდა პროცედურული სამუშაოები (საქართველოს დედაქალაქში, ქორეოგრაფთა კავშირში გაიგზავნა ამ კონცერტის ვიდეომასალა, განხილვის შემდეგ ჟიურის სრული შემადგენლობის ერთობლივი გადაწყვეტილებით "იმედს" სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.)



12 იანვარს, კვირა დღეს, ანსამბლის წევრებს რეპეტიციის დროს მოულოდნელად ესტუმრნენ სტუმრები: საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის პროფესორ რევაზ ჭანიშვილის პირველი მოადგილე, ჟიურის თავმჯდომარე, იური ტორაძე. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე ჯეირან გოგინავა, ქართული ქორეოგრაფიის ქურუმი თეიმურაზ ფირცხალავა, მათ ოფიციალურად მიანიჭეს "იმედს" სახალხო ანსამბლის წოდება. მთავარ ქორეოგრაფ ლევან ნუცუბიძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფის წოდება ქართული ცეკვის პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის. ზვიად ვაშაკიძეს ქართული ცეკვის პოპულარიზაციაში გარკვეული წვლილის შეტანისთვის მიენიჭა ამაგდარის წოდება, ქორეოგრაფ ანა ჯინჭველეიშვილს მიენიჭა ამაგდარის კანდიდატის წოდება, "იმედი" კი ***ბრენდირებულ სახალხო ანსამბლად აღიარეს.*** ანსამბლში 4-დან 18 წლამდე ასაკის 170 ბავშვია, სულ 5 კურსი ფუნქციონირებს, პლუს სამოყვარულო ჯგუფი.

ზვიად ვაშაკიძე სამი შვილის მამაა, მეუღლე ალმა ხურცილავა, მუსიკალური განათლების მქონეა, ალმას ბაბუა არის ჯემალ კუტალაძე, ყოფილი ქორეოგრაფი. შვილებიდან უფროსი, ნიკოლოზი 14 წლის, არის ანსამბლის ყოფილი წამყვანი მოცეკვავე, ამჟამად საბურთალოს საფეხბურთო გუნდის წევრი, მომავალი პერსპექტიული ფეხბურთელი, რჩება წამყვან მოცეკვავედაც. ანა 10 წლისაა, ფლობს მსოფლიო ხალხთა ცეკვებს და ზედმიწევნით კარგად ქართულ ხალხურ, ნაციონალურ, ტრადიციულ ცეკვებს, უმცროსი, დანიელი, წლის და სამი თვისაა.

ამ ზაფხულს ანსამბლი გრანდიოზული კონცერტისთვის ემზადება, რეპეტიციები ცოცხალ საკრავებთან და ბენდთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს. მანამდე კი, ზვიად ვაშაკიძეს ეს უდიდესი სურვილი აქვს: "მინდა, ჩვენს ანსამბლს ჰქონდეს კუთვნილი დარბაზი და სახელმწიფო დაფინანსება, რომ არც ერთი ტალანტი არ დაიკარგოს, ამასთან ერთად, სოციალურად დაუცველების შვილები უფასოდ ჩაირიცხონ სტუდია "იმედში".

ზვიად ვაშაკიძე პარალელურად ხელმძღვანელობს დიდ ჯიხაიშში, სახელოვნებო სკოლაში ჯგუფ "ფესვებს". "დიდ ჯიხაიშში 4 წლის მუშაობის შემდეგ დავაფუძნე მოცეკვავეთა ჯგუფი "ფესვები", მოგეხსენებათ, ჯიხაიშში ვაშაკიძეთა გვარი ერთობ გავრცელებულია. საყვარელ სოფელთან კონტაქტი არ გამიწყვეტია, დავუბრუნდი სახელოვნებო სკოლაში, სადაც მოცეკვავეთა ჯგუფი (40 ბავშვი) სახელმწიფო დაფინანსებაზეა". _ ამბობს ზვიად ვაშაკიძე.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ერთი წლის წინ, სოციალურ ქსელში გავრცელებულ პატარა ბიჭუნას, საბა ოჩიგავას, ცეკვა შეუმჩნეველი არ დარჩენია "სამტრედიის მაცნეს" დირექტორს, ბეჟან გოგიას. პატარა ვირტუოზი, რომლის ვიდეომ მნახველთა რეკორდი მოხსნა, რედაქციაში მოიწვია. ზვიად ვაშაკიძემ ჩვენთან საუბარში საბას "იმედის" ვარსკვლავი უწოდა, ამჯერად მის ვიდეოს 1 144 395 ნახვა აქვს. პატარ ვარსკვლავს " სამტრედიის მაცნემ" ინტერვიუ სთხოვა, საბა ოჩიგავა:

"დღეს მე ამაყი ვარ ანსამბლის წარმატებით, რაც დიდი შრომის ფასად მოვიპოვეთ, მადლობა ყველას, ვინც "იმედს", ამ ძლიერ და ერთიან გუნდს ნაშრომი შეუფასა და სახალხო ანსამბლის წოდება მოგვანიჭა. მინდა მადლობა ვუთხრა მეათე საჯარო სკოლის ჩემს ყველა პედაგოგს, რომლებიც იზიარებენ ჩემს სიხარულს. გულწრფელი მადლობა ბეჟან გოგიას, რომელსაც გასულ წელს შეუმჩნეველი არ დარჩენია სოციალურ ქსელით გავრცელებული ჩემი ცეკვების პოპურის ვიდეოკადრები, რამაც მოწონებებით რეკორდი მოხსნა. გპირდებით, ჩვენ კიდევ ბევრი წარმატებით გაგაოცებთ, დავასრულებ იმით, რომ ცეკვა ჩემი ცხოვრება და სტიქიაა".

გვჯერა, თავიანთი შემოქმედების უცხოეთში თუ საკუთარ სამშობლოში წარმოჩენით, ანსამბლის ენერგიული გოგო-ბიჭები, ერთგულ მაყურებელს კვლავ მრავალჯერ გააოცებენ და როგორც უცხოურ, ისე საერთაშორისო არენაზე სამტრედიას არაერთხელ ასახელებენ!

ნათია ნაცვლიშვილი

საშობლო გახცდილი ლექსად

ვანო კორძაძეს ბედმა ვანში არგუნა დაბადება, ვანში, მეფე-პოეტის სამფლობელოში, სადაც იმ ბუმბერაზმა გალაკტიონმა ლექსის თამასა ისე მაღლა ასწია, თაობებს გაუძნელა პოეტურ სიტყვასთან შეჭიდება-შეთამამება. "რომ ქართულ სიტყვას _ უწვდომელს, ღამეს ბავშვივით ვუთევ, *სირცხვილით თვალს ვერ ვუსწორებ გალაკტიონს და რუსთველს"_ ეს პოეტური აღსარება ვანო კორძაძეს ეკუთვნის. ის ტექნიკური განათლების მქონეა, ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს წლებია, ხელმძღვანელობს, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესის ორბიტაში მისი შესანიშნავი ლექსების გამო მოექცა.*

_ მათემატიკური ნიჭით გამორჩეულები პოეზიასთან ცოტა მწყრალად არიან, არათუ ლექსის ოსტატობა მოისურვონ. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო საქმე? როგორ დაიწყეთ და როგორ მოხვედით ორ პოეტურ კრებულამდე?

_ საზოგადოებაში არსებობს სტერეოტიპი, რომ მათემატიკური, ზოგადად, ტექნიკური ნიჭით გამორჩეული ადამიანები მყწრალად არიან პოეზიასთან, თუმცა, მთლად ასეც არ არის საქმე, პოეზია იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ლექსი. პოეზია სიყვარულია, მოლოდინია, აღმაფრენაა, მუსიკაა და ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ლამაზი ფორმით წარმოდგენაა. ყველა ადამიანს სურს, გრძნობა გამორჩეული სტილით წარმოაჩინოს, ლექსის წერა სასკოლო ასაკიდან დავიწყე, თუმცა ეს ყველაფერი სერიოზულად უფრო მოგვიანებით გავაანალიზე. 100 ლექსი როცა დაგროვდა, წიგნის გამოცემაზეც დავიწყე (უფრო სწორად, მეგობრებმა დამაწყებინეს) ფიქრი. ამ საქმეში ძალიან დამეხმარა ჩემი მეგობარი, ვანის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი, ზურაბ გეგიძე, რომლის ფინანსური მხარდაჭერით სამზეო იხილეს ჩემმა წიგნებმა _ "ორჯერ შეყვარება ადვილია, ერთხელ თუ შეძელი დავიწყება" და "მაპატიე, რომ დედამიწაზე სულ ორი წუთით შემოვირბინე".

_ როგორ იქმნება თქვენი ლექსი? ერთი ამოსუნთქვით დაიწერა ის ლექსები, რომლებიც ხალხმა შეიყვარა, თუ სერიოზულად მუშაობთ ლექსზე და ბევრიც სამზეოზე არ გამოგაქვთ?

_ მართალი გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, სხვები როგორ ქმნიან ლექსს, როგორია მათი ტექნოლოგია, ჩემს შემთხვევაში, ზოგჯერ ლექსი, მზამზარეულად, რომ იტყვიან, თავისით მოსულა. ბევრჯერაც ცალკეულმა პასაჟმა მაგრად გამაწვალა. ფრაგმენტულად ამოტივტივებულა ფრაზები, თუმცა მათი დაკავშირება გამჭირვებია. ისე, როცა იდეა სპონტანურად მოდის, ლექსიც უფრო ლაღი და სასიამოვნოა, პოემა "იმედი" 5 დღეში დაიწერა, თითქოს თავისით მოდიოდა სათქმელი და მე ისღა დამრჩენოდა, მხოლოდ ფურცელზე გადამეტანა. მაქვს ბევრი ახალი ლექსი, ბევრი მონახაზი, ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

_ როგორ შედგა ახალგაზრდულ ჯგუფ "არგოსთან" თქვენი თანამშრომლობა? ეს ჯგუფი ვანის სავიზიტო ბარათად იქცა, გარდა იმისა, კარგ მუსიკას ქმნიან, მათი პოპულარობა, ალბათ, იმანაც შეაპირობა, რომ რეპერტუარი მაღალმხატვრულ ტექსტებს ეყრდნობა.

_ "არგო" საოცარი ბიჭებით დაკომპლექტებული ანსამბლია, რომელიც ვანის ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია და საქართველოში ბევრი გულშემატკივარი გაიჩინა. მათ საკუთარი სტილი, საკუთარი ხმა გამოარჩევთ სხვებისგან. ჩვენი თანამშრომლობითი ურთიერთობა მაინც მეგობრობით არის დაწყებული და თამამად ვიტყვი, რომ გემოვნებიან მუსიკას ქმნიან. რაც შეეხება ტექსტებს, მაღალმხატვრული ღირებულებებით გამორჩეული ტექსტების პოვნა საქართველოში ძნელი არ არის, ასე რომ, მათ პოპულარობაში ჩემს მიერ შექმნილ ლექსებს განსაკუთრებული წვლილი ნამდვილად არ შეუტანია. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ, ისინი უფრო დამეხმარნენ.

_ ხომ არ დგას დღის წესრიგში კიდევ რაიმე ახალი და საინტერესო პროექტის პრეზენტაცია?

_ ახლო პერსპექტივაში ახალი პროექტის პრეზენტაცია არ იგეგმება, თუმცა, რამის პროგნოზირება რთულია, შეიძლება, რაღაც მომენტმა ყველაფერი შეცვალოს.

_ დღეს კულტურული ცენტრი დედაქალაქშია, როგორი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს ვანის მუნიციპალიტეტი? რამდენად ხშირად იმართება ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები? ხშირად გსტუმრობენ მწერლები და პოეტები?

_ კულტურული ცხოვრების ძირითად პულსს და რიტმს, ძირითადად, კულტურის სამსახური განსაზღვრავს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან ეფექტურად წარმართავენ ამ სამსახურის თანამშრომლები სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებს, რეპრესირებული პოეტისა და მთარგმნელის, გიორგი ძიგვაშვილის იუბილესთან დაკავშირებით, რევაზ მიშველაძის ხელმძღვანელობით, ვანში რამდენჯერმე იმყოფებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

_ მოეწყო თუ არა თქვენი კრებულის პრეზენტაცია თქვენს მუნიციპალიტეტში?

_ რაც შეეხება ჩემი კრებულის პრეზენტაციას, არაერთხელ იყო ინიციატივა სხვადასხვა სამსახურისაგან თუ კერძო პირისაგან, თუმცა, მართალი გითხრათ, თავად მე არ ვიყავი თანახმა. შემოთავაზება იყო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრისგანაც, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ მე ვერ გადავდგი შემხვედრი ნაბიჯი.

_ როგორ ფიქრობთ, ჩვენს საოცრად არაპოეტურ დროში, როცა მატერიალურმა, ყოფითმა მთლიანად განდევნა მაღალი სულიერი ღირებულებები, ბევრნი არიან პოეზიის მოყვარულნი?

_ საქართველოში პოეზია ყოველთვის თავის ღირსეულ ადგილს იკავებდა, ძალიან ძნელია, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი დალხენილი პერიოდი გამოარჩიო. მიუხედავად დღევანდელი პრობლემებისა, ახალგაზრდა პოეტები ძალიან აქტიურობენ, მათ შორის, სოციალურ ქსელებშიც, ხანდახან იმდენად მართალი, გულიანი და ძარღვიანი ლექსი "შემოგეფეთება", სულს გაგითბობს და სიცოცხლე გიხარია. ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარული კი საქართველოში არასოდეს დაილევა.

_ რამდენი ხანია, რაც საგანმანათლებლო რესურსცენტრს ხელმძღვანელობთ?

_ საგანმანათლებლო რესურსცენტრს 2005 წლიდან ვხელმძღვანელობ. ეს იმდენად მასშტაბური სფეროა, ძალიან ძნელია, დრო სხვა საქმისთვის დაგრჩეს. თუმცა, ალბათ, უნდა შესძლო სხვა თემატიკაზე კონცენტრირებაც. რამდენიმე წლის წინ, ჩემი რედაქტორობით გამოიცა აგვისტოს ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტის, ჩემი მოსწავლის, მიხეილ დვალიშვილის პოეტური კრებული "მე შინდისელი ბიჭი ვარ".

_ თქვენს ლექსებში სოციალური განწყობა და სითამამე ჩანს, "ვიღაც ცდილობს, ჩემი სამშობლო, როგორც მას აწყობს, ისე მიყვარდეს" კონკრეტულად ამ ლექსს ხომ არ გამოუწვევია ვინმეს განაწყენება?

_ ნამდვილად იგრძნობა ჩემს ზოგიერთ ლექსში სოციალური პროტესტი და ეს ასეც უნდა იყოს. კონკრეტულად ეს ლექსი "სხვისი წყალობა" 2008 წელს დაიწერა და ადვილი მისახვედრია, რა მოტივმაც განაპირობა.

"სხვისი წყალობა ღმერთმა მაშოროს,
ყველას დაღუპავს ბოლოს სიხარბე,
ვიღაცა ცდილობს, ჩემი სამშობლო,
მას როგორც უნდა, ისე მიყვარდეს.
ცა უნაპირო და მეწამული,
ზღვა _ მოკაშკაშე მზიურ კოცონზე,
ვიღაცას უნდა, ჩემი მამული,
მას როგორც აწყობს, ისე მომწონდეს.
რა ძალაც ჰქონდეს ღიმილს შემპარავს,
მზე კვლავ ამოვა ლურჯი მთებიდან
და მეყვარება ჩემი ქვეყანა,
როგორც ჩემს გულს და როგორც მე მინდა...".

თუ ვინმე ამ ლექსმა გაანაწყენა, იმედს ვიტოვებ, ის ქართველი არ იქნებოდა...

_ თქვენ შექმნილი გაქვთ როგორც პატრიოტული, ისე სასიყვარულო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები, მიიჩნევთ, რომ სათქმელს ყველაზე უკეთ პოეზიის ენით გამოხატავთ?

_ მაქვს როგორც ლირიკული, ასევე, მკვეთრად გამოხატული პატრიოტული და სატრფიალო ლექსები, ყველა ადამიანი სათქმელს მისთვის მისაღები ფორმით გამოხატავს. მე, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს გზა ავირჩიე.

_ მეფე-პოეტის სამშობლოში, ძნელია, პოეტს საყვარელი პოეტის შესახებ ჰკითხო, მაინც ვის მიიჩნევთ თქვენს საყვარელ პოეტად?

_ სხვადასხვა არის საუკეთესო და საყვარელი პოეტის ცნება, საუკეთესო ნამდვილად ის არის, ერთადერთი, ბოლომდე შეუცნობი და მარადიული გალაკტიონი, ყველაზე და ყველაფერზე ერთი თავით მაღალი. რაც შეეხება საყვარელ პოეტებს, უფრო ახლოს ტიციანი და ოთარ ჭილაძე არიან. ორი სრულიად განსხვავებული ხელწერის, მაგრამ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

ინდოეთი _ კულტურა და რელიგია

(ბუდისტური სიმღერებიდან)

გაგრძელება. დასაწყისი "სამტრედიის მაცნე" №2

ინდურმა ლიტერატურამ უძველესი დროიდან მოიტანა ჩვენამდე ურიცხვი რაოდენობის ძეგლი. ისინი მომდინარეობენ უკვე ახალი რელიგიური მსოფლმხედველობიდან და მაინც განსხვავებულობის მიუხედავად, არიან კავშირში ბუდასთან და ადიდებენ მის განდეგილურ, ასკეტური ცხოვრების წესს.

ყმაწვილმა პრინცმა, გაუტამას გვარიდან, დაბადებულმა სადღაც დღევანდელი ინდოეთის საზღვარზე, ნეპალის ახლოს, "განსჭვრიტა სრული სიმშვიდე სულისა", განთავისუფლდა ეჭვებისგან, დათრგუნა სურვილები "თავის ოცნებებში იმყოფებოდა სრულ ნეტარებაში". არც საყვედური, არც ქება მასზე არ მოქმედებს, ის მხოლოდ მიზანსწრაფულად ცხოვრობს განდეგილად, სიჭაბუკის წლებში არაფრით არ არის გატაცებული". პრინცმა აირჩია გზა სამყაროსგან განდგომისა, ცოდვებისაგან, რომელსაც სხეულით სჩადიან ადამიანები, ივქებოდა შენაწირით _ ქუნწად, სუფთა, ამაღლებული და მშვენიერი, კეთილმოქმედებით აღსავსე". მას ქოხში ერთხელ ესტუმრა მეფე "ბიმბისარა":

"შენ ყმაწვილი ხარ სრულიად,
სიმწიფის წლებში, თითქმის ბიჭუნა,
როგორც საგვარეულო შატრია,
დიდი სილამაზით გამოირჩევი.
მე მეფე ვარ, ჯარიც მახლავს,
უპირველესი გმირთა შორის,
გჩუქნი მე შენ სიმდიდრეს,
ოღონდ მითხარ, რომელ გვარიდან ხარ?"

ბუდას პასუხები ასეთია:

"მეფეო, პირდაპირ კოსალში,
ჰიმალაების მთის ძირას,
არის მიწა სახელგანთქმული
სიმდიდრით და სიძლიერით.
შაკიების ტომიდან ვარ,
რომელთა დიდი დედა _ მზეა,
მე წავედი განდეგილი სამყაროსგან,
არ ვესწრაფი არავითარ სიტკბოებას".

აგრეთვე პასუხის გაცემა იმ მიზეზებს, თუ რატომ განუდგა ყმაწვილი პრინცი სამყაროს:

"ჭეშმარიტად სიცოცხლე მოკვდავთა,
უმიზეზოა და გაუგებარი,
ხანმოკლეა და დაუდეგარი,
აღსავსე, ტანჯვა-წამებით არი.
უგუნური და სწავლული ბრძენი,
მოხუცი თუ ყმაწვილი ნაზი,
ყველა დაასრულებს სიკვდილის დღენით,
ბატონობს სიკვდილი ყველაფერზე".

ამიტომ არ უნდა მწუხარება, არც სიხარული, ვეძებოთ მარად და ვიბრძოლოთ.

ლირიკულ პოემაში, რომელსაც ჰქვია "თპერიგათპა", ჰყვებიან იმის შესახებ, რომ რომელიღაც ახალგაზრდა გმირი შეხვდა ბუდას მიმდევარ ასკეტს, ახალგაზრდა მზეთუნახავს და მას სთხოვს გაუზიაროს გრძნობა სიყვარულის:

"შენ ლამაზი ხარ მზეთუნახავი,
რას მოგცემს შენ განდეგილის ცხოვრება?"

ქალწული ბედის ქადაგების მიხედვით უარყოფს სიყვარულს, ადამიანურ სილამაზეს და თავის საკუთარ მშვენიერებასაც, ის ყველაფერში და სიყვარულშიც, ბუნების სილამაზეშიც ჰხედავს სიცარიელეს "ძვირფასს სატყუარას".

ყმაწვილი პირიქით, აქებს და ადიდებს სილამაზეს, უნდა დაუმტკიცოს, უნდა დაუმტკიცოს რა მშვენიერი ქალია, როგორ უყვარს მას ის, რამდენ სიხარულს იპოვის იგი მის სახლში, მასთან სიახლოვით:

"რა გრძელი წამწამები, რა ნათელი მზერა!
შენგან შორს წარსულსაც მუდამ მეხსომები,
არაფერი არ არის ჩემთვის უფრო ტკბილი,
ვიდრე შენი თვალების ნაზი ელვარება".

ქალიშვილი ზიზღით საუბრობს თავისი თვალების შესახებ, რა არის თვალები ასეთი მხოლოდ გიშრისქვები რომლისგანაც ლორწო გამოდის, გამონაყოფი ცრემლის, ბუშტი ცრემლით სავსე, და უცებ ერთ თვალს ამოითხრის, და გაუწოდებს იმ ყმაწვილს, ის კი გაოგნებული შეჰყურებს, საშინელების გრძნობა იპყრობს მას, თითქოს თავის მკლავებში მოაქცია ცეცხლი დამბუგველი, მკაცრი, შიშველი ხელებით დაიჭირა თითქოს კობრა-გველი". ის იჩოქებს განდეგილი ქალის ფერხთით, თხოვს ემუდარება პატიებას და მას ბედნიერებას უსურვებს. მსგავსი პოეზიის მქადაგებლური ფილოსოფიის არსი; რა თქმა უნდა ძალიან პესიმისტურია, ის წარმოქმნილია უბედური ადამიანის გამოუვალი მდგომარეობით, ვინც არ იცის როგორ გაექცეს ყოველგან ჩასაფრებულ უბედურებას, სიხარულით მიჰყვებოდა მათ ქცევას, ვინც ეუბნებოდა მას საყოველთაო უნივერსალურ ტანჯვათა შესახებ, და მოუწოდებდა უარყოფისაკენ მას, ყოველგვარი ბედნიერების ძიებისგან. ამგვარ იდეაში, ნირვანაში თვით დავიწყებაში, უბედური ადამიანი პოულობდა თავისებურ სიმშვიდეს, ძალიან სასარგებლოს გაბატონებული კლასებისათვის.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 250 წელს, მეფე აშოკმა გამოაცხადა ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად. ბუდიზმი გადაიქცა მსოფლიო რელიგიად. მან მოიცვა ტერიტორიები, ტიბეტის, ინდო-ჩინეთის, იაპონიის, კორეის და სხვა ქვეყნებისა.

მისი გარეგნული ფორმა წარმოგვიდგა როგორც კულტი ბუდისა, (ისინი დაახლოებით ათასამდეა).

ბუდიზმს, როგორც რელიგიას, თანამედროვე ინდოეთში უკვე მცირერიცხოვანი მიმდევრები ჰყავს: მაგრამ ზოგიერთი თავისი ელემენტებით ის გაერთიანდა ინდუზმის მოძღვრებაში. ინდუზმში გადაიკვეთნენ ძველი რელიგიების ბრაჰმანიზმის იდეები და რომელიც მოევლინა როგორც ბუდიზმის შემცველი. ინდური რელიგიის თანახმად, ადამიანი სულიერად უნდა განთავისუფლდეს, დათრგუნოს თავის თავში ყოველგვარი სურვილები, თითქოს და ამით ამაღლდეს ყოფაცხოვრებით და შფოთიან ადამიანურ სამყაროზე. მხოლოდ ასე შესძლებს, ის თითქოსდა გაექცეს უსასრულო განსხეულებებს ცხოველებში და მიაღწიოს "ნირვანას". _ მდგომარეობას მარადიული ნეტარებისა და მარადიული სიმშვიდისა. ინდუსების რელიგიაში, საერთო ზოგადმა კომპლექსებმა, რომლებმაც მეცნიერებაში დაიმკვიდრეს ინდუიზმის სახელი, პირველობს "სანსარას" იდეა. ამ იდეის თანახმად ადამიანი, თითქოს საერთოდ არ კვდება, არამედ ხელახლა და ხელახლა იბადება, მხოლოდ სხვა სახით, სხვა სხეულში, მას შეუძლია დაიბადოს უფრო მაღალ კასტაში, თუკი ცხოვრობდა კეთილსინდისიერად, კეთილშობილური ცხოვრების წესებით და პირიქითაც, უფრო დაბალ კასტაში და მეტიც ყველაზე ბინძურ ცხოველად, მაგალითად გველად, თუკი იყო გარყვნილი, უსინდისო და დაარღვია საზოგადოების ცხოვრების კანონები.

ინდუსებისათვის არ არსებობს არც ჯოჯოხეთი და არც სამოთხე. იმქვეყნიურ სამყაროში ჯოჯოხეთი _ დედამიწაზეა, ჯოჯოხეთი ეს თავად ცხოვრებაა, ინდუსების რელიგია ძალიან პესიმისტურია, ყოველგვარი ცხოვრება და სიცოცხლე არის ტანჯვა. ერი ადამიანის მდგომარეობაში, თუნდაც რომ მცირეა ტანჯვა, მეორესი _ ცხოვრებაში კი დიდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ტანჯვაა, სიცოცხლე. ამ სატანჯველიდან "ნირვანის" მიღწევა და მისგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ მრავალჯერ დაბადების შედეგად. თავად ბუდა ხომ ათჯერ დაიბადა.

მოამზადა მერაბ ჩაჩავა

უნარი სხვათა გახარებისა

ქართველ კაცს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი უნარი სხვათა დახმარებისა, თანადგომისა. 31 დეკემბერს შრომის ვეტერანმა, ბატონმა ზურაბ ხაჟალიამ და მისმა შვილებმა: ამირანმა, სიმონმა და ქეთევანმა ორი სამტრედიელი ქალბატონი და მათი ოჯახის წევრები გაახარეს. ბარათაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს, 97 წლის ანა თავაძესა და სოფელ ილორში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ანიჩკა სულავას პირადად გადასცეს საახალწლო ნობათი, რომელიც სხვადასხვა პროდუქტისაგან შედგებოდა.



ამ სითბოსა და თანადგომისათვის კი ქალბატონებისა და მათი ოჯახებისაგან უდიდესი მადლიერება დაიმსახურეს. ღმერთმა უმრავლოს ქვეყანას, ჩვენს მუნიციპალიტეტს მოყვასის თანადგომის სურვილით გულანთებული მამულიშვილები.

ბატონმა ზურაბმა და მისმა შვილებმა სურვილი გამოთქვეს, კვლავაც აღმოუჩინონ უანგარო დახმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებსა და მოხუცებს.

აპოლონ ხაჟალია
ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარე

ემიგრანტის ფიქრები

ნათლისღება თურქეთში

თურქეთში მცხოვრები ემიგრანტი ქალბატონი, ჩვენი გაზეთის რუბრიკის "ემიგრანტის ფიქრები" ხშირი სტუმარი, ამჯერად 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე მიღებულ შთაბეჭდილებებს "სამტრედიის მაცნეს" მკითხველს უზიარებს:

"ნათლისღების დღესთან დაკავშირებით ქართველი ემიგრანტები ედირნეკაპის და ბურსის მიტროპოლიტ კირილეუსმა საქართველოდან მოწვეულ იღუმენ მიქაელ სხირტლაძესა და პროტოდიაკონ მირიან სხირტლაძესთან ერთად თავისი სახსრებით მიგვიწვია ქ. ბურსაში, სადაც ჩატარდა ნათლისღების ლიტურგია. ემიგრანტებით სავსე 2 ავტობუსით 3 საათის შემდეგ მივედით დანიშნულ ადგილას. ხალხმრავლობა იყო, ჟანდარმერიას გაძლიერებული ჰქონდა დაცვა. წირვა ტარდებოდა მუდანია-თრილიეს წმინდა ვასილის ყოფილ ეკლესიაში. ნათლისღების წირვას ატარებდა იმ სახელმწიფოს პატრიარქები, სადაც 19 იანვარს აღინიშნებოდა ეს დღე. წირვა ჩატარდა რუმინულ, ბერძნულ, ქართულ და რუსულ ენებზე. წირვის დასრულებისთანავე გადმოგვცეს ხატები საეკლესიო წიგნი. წირვის შემდეგ მსვლელობა შედგა 500-მდე მომლოცველით და ორკესტრის თანხლებით გეზი მარმარილოს ზღვისაკენ ავიღეთ. იკურთხა ზღვა, მოინათლა მოსანათლები. სანაპიროს შორიახლო სამი გემი მოადგა, პატრიარქმა ზღვაში ჯვარი ჩაუშვა და გემებიდან ბიჭები გადმოეშვნენ, როგორც გაირკვა, ერთმანეთს ქართველი ბერძენი და თურქი მართლმადიდებლები ერკინებოდნენ. ჯვრის დასაუფლებლად პირველობა ქართველებმა არავის დაუთმეს. ვახტანგმა პირადად მიართვა ზღვიდან ამოტანილი ჯვარი პატრიარქს. ძალზე მწირი ინფორმაცია მოვიძიე მუდანია-თრილიეს ამ პატარა მხარეზე. ეს ის რეგიონია, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს, სადაც არის 3 მონასტერი, 7 ეკლესია და ქრისტიანული სასაფლაო. წმინდა ვასილის ეკლესია არც თუ ისე დიდი ზომისაა. სომალების შემოსევამ განაპირობა ქრისტიანული ისტორიის რღვევა, ეკლესია გადაკეთდა მეჩეთად, შემდეგ სხვადასხვა შეკრებისთვის იყენებდნენ. მეჩეთი გააუქმეს და სტუდენტებისათვის სასადილოდ გამოიყენეს. რესტავრაცია ჩაუტარდა და 2009 წლიდან კულტურის ცენტრის სახელი მიენიჭა. გზად მიმავლებს საოცარი ბუნება გვეშლება, წიწვოვანი და ზეთისხილის ხეებით შეფენილია გორები. ბურსა ცნობილია, როგორც მწვანე ბურსას სახელით".

ნატალია ეგრისელი

მე დავბრმავდი შვილისთვის

დედა?

ხო, დედი, რა იყო?

_ ვერ ვიძინებ დე! სულები მელანდება!

მე წამიერად ვჩერდები და ინსტიქტურად თითები წერენ ტელეფონზე თავისით, რადგან გული საგულედან სადაცაა ამოვარდება. ის ხომ მშიშარაა, მთელი თორმეტი წელი ჩახუტებულებს გვეძინა. ახლა კი შეშინდა. რატომ? რა სჭირს? ხომ აქვს მშვიდობა? _ ათასმა ფიქრმა გამიელვა წამიერად.

_ დედი, სულები არ არსებობენ, ჩემო შვილო!

_ აუ, დე, მეშინია, ვერ ვიძინებ!

_ ლოცვა თქვი გულში, _ ვაძლევ პასუხს და თან იესოს მოკლე ლოცვას ვწერ: "უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი."

ლაპარაკი არ შემიძლია, მეუხერხულება, სანამ არ დაიძინებს ჩემი ბებო და მისი გოგოები, თუგინდ შემეძლოს, ვიცი ატირდება ჩემს ხმას რომ გაიგებს და არც მე დამადგება კარგი დღე.

_ დე, ცოდვილი რატომ ვარ?"

_ ვინ გითხრა, რომ ცოდვილი ხარ? _ ვწერ პასუხს და მახსენდება ლოცვაში მოხსენიებულ სიტყვა "მე ცოდვილზე" ამახვილებს ყურადღებას.

_ ეს ლოცვაა, დედი, ყველას წასაკითხი, თან ჩვენ ყველანი ხომ ცოდვილები ვართ! _ ვწერ ხელის კანკალით.

_ დეე, მეორედ მოსვლა მართლა მალე იქნება? _ მწერს და ვიცი, რომ ეშინია, როგორ ყველა ადამიანს ამაზე ფიქრის.

_ ჯერ არაა, დედა, მეორედ მოსვლა, ეგ რომ იყოს მოსალოდნელი, მე არ მიგატოვებდით. _ ვწერ და ცრემლით მევსება თვალები. ჩვენ ვერ მოვესწრებით მაგას. _ მივწერე და გავირინდე. არ ვიცი, რამდენად სწორი იყო ჩემი პასუხი, მაგრამ მგონია, რომ დავამშვიდე.

_ მასწავლებელმა მოგვიყვა სკოლაში, დე და მე ინგლისურიდან რომ ვბრუნდებოდი, გზაში ტირილი დავიწყე, შემეშინდა.

მეგონა თავი გამისკდებოდა, ისეთი უსუსური ვიყავი, როგორც დედამ. მინელდა მესიჯები, ვიფიქრე ჩაეძინა-თქო.

_ დე გძინავს? კიდე ხო არ გეშინია?

_ ვიძინებ, დედიკო, იცოდე, მენატრები და შენი ჩახუტება მინდა!

_ დე, ხომ გინდა წესიერ, ლამაზ სახლში იცხოვრო, მე რომ ჩამოვალ, სადარდებელი არ გვექნება სახლი, ხომ გესმის, გავაკეთოთ, პრობლემები მოვიხსნათ და მალე ჩამოვალ, დაიძინე, გთხოვ, ლოცვა თქვი შენს გულში ჩემო გულო!

_ ხო, დეე, მიყვარხარ! _ მპასუხობს და მერე მესენჯერი ციმციმს წყვეტს, მთელი ერთი საათი თავს ვერ ვიმშვიდებდი, ვერც ამ უცხო ხალხს მოვუყევი, რა მჭირდა, წესიერად ენა არ ვიცი და ტრანსლაიტით ნერვები არ მქონდა. დუდუნებდა მთელი ღამე ჩემი გულიც, ტვინსაც არ დაუსვენია. დილამაც მოატანა, ახლა ისევ ბებოს ოთახში ვზივარ ნახევრად უძილო და ვლოცულობ, მალე დამთავრდეს ეს კოშმარები, ეს ტკივილიანი დღეები თუ წლები! დედა და შვილი განუყოფელია, ილია ჭავჭავაძე ამბობს ოთარაანთ ქვრივის ენით "ნეტა, დედას ორი თვალი რადა აქვს? თუ აქვს რატომ ერთი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება. ვინ ვისთვისო, რა საკითხავია დედაშვილობაში. ვაი, რომ საკითხავი ყოფილა. ამის ჭიდილია თურმე დედაშვილობაცა. არა, შვილო, შენ გაიხარე, შენ. მე კი, მე ჩემისად მაყურებელ თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლითდა ვივლი ამ ქვეყანაზე".

ეკატერინა ჯანტურია

მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაუგრძნობენ ნანა ივანიშვილ-ჯამბურიასა და ნუგზარ ჯამბურიას, ქეთევან ივანაშვილს დედისა და სიდედრის, ქალბატონი

ნაზიკოს

გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს ნანა ივანიშვილ-ჯამბურიასა და ნუგზარ ჯამბურიას, ქეთევან ივანაშვილს დედისა და სიდედრის, ქალბატონი

ნაზიკოს

გარდაცვალების გამო.

"სამტრედიის მაცნე" თანაუგრძნობს ნანა ივანიშვილ-ჯამბურიასა და ნუგზარ ჯამბურიას, ქეთევან ივანაშვილს დედისა და სიდედრის, ქალბატონი

ნაზიკოს

გარდაცვალების გამო.

"სამტრედიის მაცნე" თანაუგრძნობს დიდიძეების ოჯახს ბატონი

მერაბ დიდიძის

გარდაცვალების გამო.

რუსთაველის ქუჩაზე, №111 ბინის III სადარბაზოს მეზობლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მედეა ნიკურაძის დისშვილის, ქალბატონი

ლილის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო უსამძიმრებს ბეჟან გეგეშიძეს და მის ოჯახს ქალბატონი

ნანა ჯიჯიგური-შენგელიას

გარდაცვალების გამო.

"სამტრედიის მაცნე" უსამძიმრებს ბეჟან გეგეშიძესა და მის ოჯახს ქალბატონი

ნანა ჯიჯიგური-შენგელიას

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი გულისტკივილით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი კომპოზიტორის, ქართული კულტურის ამაგდარის, "სიმღერა სამტრედიაზე" მუსიკის ავტორის, დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, დიდებული ოჯახის თავკაცის, ბატონი

გოჩარ გიორგის ძე სიხარულიძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ჭირისუფალს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი კომპოზიტორის, ბატონი

გოჩარ სიხარულიძის

გარდაცვალების გამო.

პატარა კარატისტების გამარჯვება

2020 წლის 17-18 იანვარს ქალაქ ბათუმში ჩატარდა აჭარის ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში მოზარდებსა და დიდებს შორის, სადაც მონაწილეობას იღებდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელი: სენსეიმ მიხეილ ქანთარია). სულ 200-მდე მონაწილე.

წარმატებით იასპარეზა სამტრედიის გუნდის წევრებმა: ვაჟებს შორის: 10 წლის თენგიზ ჯაბნიაშვილმა და გიორგი ქანთარიამ, რომლებმაც დაიკავეს მე-3 საპრიზო ადგილები.

გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზა 10 წლის მარიამ ნანეიშვილმა, რომელმაც დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი.

დარწმუნებული ვარ, სულ მალე მარიამ ნანეიშვილი გახდება წარმატებული კარატისტი და მსოფლიოში ცნობილ სამტრედიელ კარატისტი გოგონების: თამარ ბიბილეიშვილის, მარიამ გოგიტაურისა და მანანა მუქერიას გვერდით დაიკავებს ადგილს.

ვულოცავთ სამტრედიელ პატარა კარატისტებს წარმატებას!

სენსეი მიხეილ ქანთარია

ლიზეტა, მიშზეტა, ქანეტა,
ჟორჟეტა და ივეტა _
ყველამ უნდა დაიცვას
დღეს უჩავას დიეტა!

ვალერიანე ფოცხვერიას!

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას. უსურვებს წარმატებებს, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

ვულოცავთ!
წლები გასულა

დიახ, ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემმა უფროსმა კოლეგებმა რედაქციაში საქაღალდეში აკურატულად ჩაწყობილი წერილებით მოსული მამაკაცი გამაცნეს: ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარიაო.

მას შემდეგ ბატონი ბორის კახიანი ჩემთვისაც ახლობელი და შინაური გახდა, ისე, როგორც მთელი რედაქციისათვის.

ათეული წლები გავიდა, რაც მის მიერ მომზადებულ წერილებს აქვეყნებს ადგილობრივი გაზეთი. განუზომელია წვლილი, ბატონ ბორისს რომ მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სამტრედიის საყრდენი პუნქტის მუშაობაში.

1962 წლიდან 2015 წლამდე ხელმძღვანელობდა იგი ამ ორგანიზაციას.

პირველი წერილი მაშინ გამოუქვეყნებია, ჩვენს გაზეთს "სოციალისტური შეტევა" რომ ერქვა. თვალის ჩინივით უფრთხილდება მაშინდელი რედაქტორის მიერ მის სახელზე გაცემულ მოწმობას, რომელიც ბორის კახიანის შტატგარეშე კორესპონდენტობას ადასტურებს.

ღირსეული ოჯახი შექმნეს ბატონმა ბორისმა და მისმა მეუღლემ, საქართველოს მასშტაბით აღიარებულმა პედაგოგმა, ქალბატონმა ნონა ნაცვლიშვილმა, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო რაიონში, ვისაც ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის ღირსების ორდენი გადაეცა, შვილები და შვილიშვილებიც თვალსაჩინონი ჰყავთ. მართალია, ქალბატონი ნონა ცოცხალი აღარაა, თუმცა მეუღლე, ოჯახი დავიწყებას არ ანებებენ მის ნათელ ხსოვნას.

იუბილარია ამ დღეებში ბატონი ბორისი. ჩვენ გაზეთზე მხოლოდ 5 წლითაა უმცროსი, 85 წელი უსრულდება მას და 70 წელია გაზეთთან მეგობრობს.

უდიდესი პატივისცემით, მოკრძალებით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს და წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ კეთილისმსურველთა გასახარად.

ლევან გაბეჩავა

სამტრედიელმა ტყუპებმა იმერეთის ჩემპიონატში თავი გამოიჩინეს

3 იანვრიდან 12 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა იმერეთის ჩემპიონატი, რომელიც ქალაქ ქუთაისში გაიმართა.

მასში 7 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ. მათ შორის წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა ტყუპმა დებმა: ანა ბელთაძე მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა, ხოლო მარიამი _ მეოთხე ადგილზე.

იმერეთის ჩემპიონატში მიღებული წარმატება იმის საწინდარი აღმოჩნდა, სამტრედიელი ტყუპი დები საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთა შორის მოხვედრილიყვნენ.

იმერეთის ჩემპიონი ქუთაისელი ემილი ბუაძე გახდა.

ანა და მარიამ ბელთაძეები სამტრედიის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეები არიან, მათი მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილია.

ნინო ნანიტაშვილი

ვულოცავთ!

დიდებულ ქალბატონს, დედას, ბებიას და ერთგულ მეგობარს, ლია ვაშაკიძეს, საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ხანგრძლივ და სიხარულით სავსე ცხოვრების ლამაზ დღეებს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად!

დიდი სიყვარულით დიდი ჯიხაიშის №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა